# საერთო გაზეთი

№18 (610)
ოთხშაბათი
19 მაისი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.

## პალესტინა-ისრაელის ომი ის ომია, სადაც ორივე მხარე მართალია





## ვეკითხები ხელისუფლებას, რატომ არა არის ჩემი, რაც ჩემია?



ვინ ქმნის ხელოვნურ ბარიერებს მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით?

## თავდადებული ერი



ჩვენ თავდადებული ერი ვართ, ბალიშზე თავდადებული ერი...

## ნაცმოძრაობა - გლობალისტების დესანტი საქართველოში






გლობალისტების ახალი ბრენდი – ფალსიფიცირებული ქართველი

## ლეშიჭამია ტურების ხროვა



## ლიბერალიზმი - კერპი, რომელმაც არ გაამართლა



უხილავი დოქტრინის უხილავი ხელი

## 13 მაისი - ქართული ფეხბურთის დიდგორი



## თუ ასე გაგრძელდა, საფრანგეთი, როგორც სახელმწიფო, გაქრება

## ოხ, მე ამათ!

## მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ვალუტა

# რედაქტორის გვერდი



ვახტანგ ხარჩილავა:

ახლა „საერთო გაზეთის“ მორიგი წინასწარმეტყველება — არ გადაუხადოთ ამ ცუღლუტ მელიას ეგ ორმოცი ათასი ლარი, თორემ გადაგაგდებენ „ნაცები“ — მელია ციხიდან გამოვა, მაგრამ „ნაცები“ პარლამენტში მაინც არ შევლენო, რომ ვაფრთხილებდით ევროპარლამენტს.

ჩვენი ვარაუდით, მელია მალე აუჯანყდება მიშას და „ნაცმოძრაობაში“ ორი ფრთა გაჩნდება — ნიკანორისტები და მიშისტები.

განხეთქილების საბაბი კი ის არის, რომ მელიას პრემიერობა სურს, მას კი თბილისის მერობას აძალებენ.

ვერ გაიგო ამ ნიკანორმა,



რომ პრემიერობა მის აღმატებულებას, თვით მიხეილ სააკაშვილს, თავისთვის უნდა.

პრემიერობის გამო არ იყო, სააკაშვილმა „შორეულ“ 2011-ში კონსტიტუცია ისე დაგლიჯა და დაანაკუწა, კობახიძემ ძლივს ააწყო თავიდან, ახლა კი ვიღაც ჩიტირეკია მელია ედავება და ეტოლება ამხელა და ამსიგრძე პოლიტიკოსს.

ასე რომ, „სამოქალაქო ომი“ „ნაცმოძრაობაში“ გარდაუვალია.

სხვათა შორის, საიდუმლოდ იმასაც გეტყვით, რომ სააკაშვილი კატეგორიული წინააღმდეგი იყო, მელიას ასე უცებ დაეტოვებინა ციხე — რა ეჩქარება, კოსტავა ათი წელი იჯდა, ეგეც იჯდეს ცოტა ხანსო, — უთქვამს.

ამიტომაც არ მოაწერა ხელი მიშელის დოკუმენტს „ნაცმოძრაობამ“ — თუ ჩვენ ხელს არ მოვაწერთ, მელიას ვინ გამოუშვებსო, — ფიქრობდნენ, მაგრამ გამოხტნენ ეს არამკითხე ოპოზიციონერები, ეს მოღალატეები და „ნაცების“ დაუკითხავად არ მოაწერეს ხელი?

მელია გამოუშვეს.

აი, ამასაა, რომ ვერ პატიობენ „ნაცები“ ოპოზიციას — რას ჰქვია, მელია გამოაშვებინეთ და გეგმები ჩაგვიშალეთო.

მელიაც ხვდება, „პლენში“ დატოვებას რომ უპირებდა ვერაგი და დაუნდობელი ბოსი, ხვდება და გული რისხვით აქვს სავსე, მაგრამ, ჯერჯერობით, ითმენს.

არ მოითმენს და შეიძლება ისევ იქ შეაბრუნონ, საიდანაც ძლივს დაიხსნეს.

როგორც ვთქვით, მიუხედავად იმისა, რომ „გამოსასყიდი“ გადახდილია და მელია გარეთაა, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილმა თქვა, მელია რომ გამოვა, პარლამენტში შევალთო, სააკაშვილმა, როგორც სჩვევია, სიტყვა გატეხა და „ნაცმოძრაობა“ არსადაც არ შესულა.

ბატონი შარლ მიშელი და მთელი ევროსაბჭო, თავის ევროპარლამენტიანად, ნაწყენები და, იმავე დროს, გაოცებულები არიან თურმე: ჩვენ ეგენი („ნაცები“ — ვ.ხ.) სერიოზული ხალხი გვეგონა და როგორი არასერიოზულები და მატყუარები ყოფილანო.

ჯერ სადა ხართ, პატივცემულო მეგობრებო, წინ ისეთი სიურპრიზები გელოდებათ, გაოცება და გაკვირვება მერე ნახეთ თქვენ.

ისე, კაცმა რომ თქვას, კარგი იქნებოდა, ცოტა ახლოს გაცნობოდით იმ პარტიის შავბნელ წარსულს, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ ჰქვია და რომელსაც ასე დაჟინებით ეპატიჟებით პარლამენტში.

„ნაცმოძრაობა“ პარლამენტში კი არა, საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე უნდა იყოს წარმდგარი, როგორც კრიმინალური ორგანიზაცია, რომელსაც, ბატონ ელიზბარ ჯაველიძეს თუ დავესესხებით, ისეთი შემზარავი დანაშაულები აქვს ჩადენილი, ფაშისტებს აზრადაც რომ არ მოუვიდოდათ თავში.



ჩვენ კი ასეთ ორგანიზაციას ისე ვეხვეწებით, პარლამენტში შემობრძანდით, თორემ საქართველოში დემოკრატიას საფრთხე შეექმნებაო, რომ გეგონება, დემოკრატიას და კრიმინალს, დემოკრატიას და ფაშიზმს რაღაც საერთო აქვს.

„ფერმერ“ ჟორიკა რურუას თუ დავუჯერებთ, საერთოც აქვთ და უფრო მეტიც, მეგობრობა და საერთო იდეალებიც აკავშირებთ თურმე.

— ბევრი სიძნელეები გველოდება წინ, მაგრამ ჩვენი მეგობრები დაგვეხმარებიან და ამ ხელისუფლებას დავამარცხებთო, — ბრძანა ჟორიკამ და ჩამოთვალა და ჩამოთვალა „მეგობრები“ — კელი დეგნანიო, კარლ ჰარცელიო, შარლ მიშელიო.

ჟორიკამა თქვა, კაცო, ჟორიკამა, ეგენი ჩვენი მეგობრები არიანო...

ამ ამბავმა ერთი ძველი ამბავი გამახსენა.

შევარდნაძემ ჟურნალისტებს „გაუმხილა“ — ჯაბა იოსელიანი ჩემი მეგობარიაო.

— ეგ როგორო? — გაიკვირვეს ჟურნალისტებმა.

— რა გაიკვირვეთ? მე ხომ არ მითქვამს, ჯაბას მეგობარი ვარ-მეთქი, ჯაბამ თქვა, შევარდნაძის მეგობარი ვარო და, რა ვიცი, ალბათ, არის...

თითქოს ისტორია მეორდება და ისევ იქ ვბრუნდებით, ოთხმოცდაათიან წლებში, ან 90-იანი წლები ბრუნდება ჩვენთან, რა მნიშვნელობა აქვს.

მელიამ გამოაცხადა, ერთი კვირა გვაცალეთ და გეტყვით, შევა „ნაცმოძრაობა“ პარლამენტში თუ არ შევა. აზრი ორად არის გაყოფილი — ნაწილი თვლის, რომ უნდა შევიდეთ, მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ არ უნდა შევიდე თ. ჩვენს მხარდამჭერებს უნდა ვკითხოთ — დაე, მათ გადაწყვიტონო.

მხარდამჭერების აზრი ისე აინტერესებს „ნაცმოძრაობის“ ლიდერშიფს, როგორც შარშანდელი თოვლი.

მხარდამჭერები კი არა, თანამდებობებს ვერ იყოფენ მომავალ კოალიციურ მთავრობაში და ამაზე აქვთ დავა და ცილობა.

ბავშვი ჯერ არ დაბადებულა და გიორგის არქმევდნენო, ისეა ამათი საქმე.

ცალკე ერთმანეთს ევაჭრებიან, ცალკე დასავლეთს უნდათ, რაღაც გარანტიები დასტყუონ, თუ არადა, არ შევლენ პარლამენტში!

არ შევლენ და ნუ შევლენ, აი, დარდი!

●

სიმართლე გითხრათ, უკვე მერიდება ჩვენს ძვირფას მკითხველთან, „საერთო გაზეთის“ თითქმის ყველა ნომერში „ნაცმოძრაობაზე“ რომ ველაპარაკები.

ოც წელზე მეტს ითვლის „ნაცმოძრაობის“ მიმართ ჩემი კრიტიკული დამოკიდებულების ისტორია და ამ ხნის განმავლობაში ისე მომბეზრდა ეს თემა, რომ „ნაცმოძრაობაზე“ საუბრის არავითარი სურვილი არ მაქვს, მაგრამ, როგორც ხედავთ, მაინც ვსაუბრობ, მაინც ვწერ და, იცით, რატომ?

იმიტომ რომ, ჩემი აზრით, ქვეყნის ღალატია, თუ „ნაცმოძრაობას“ შეეგუები, რადგან უფრო ანტიქართული, უფრო ანტიადამიანური, უფრო ბოროტი და სასტიკი პოლიტიკური ძალა, ვიდრე „ნაცმოძრაობაა“, საქართველოს არ ჰყოლია და, ალბათ, არც ეყოლება.

სანამ „ნაცმოძრაობა“ იარსებებს, არ იქნება მშვიდობა საქართველოში.

სანამ „ნაცმოძრაობა“ ბოლომდე არ ამოიძირკვება, გაჩუმების, მოდუნების, ენის მოჩლექით საუბრის უფლება არ გვაქვს.

და ბოლოს: ჩემი აზრით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები იქნება ის აისბერგი, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობის“ მეკობრული „ხომალდი“ შეელეწება და ნაწილ-ნაწილ დაიფშვნება.







# ვეკითხები ხელისუფლებას, რატომ არა არის ჩემი, რაც ჩემია?

## ვინ ქმნის ხელოვნურ ბარიერებს მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით?



თუ „ქართული ოცნება“ ვერ მიიღებს 43%-ზე მეტს, 2022 წელს ვატარებთ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. პირადად ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ეს გახლავთ (ცოტა არ იყოს) ზედმეტი მეტიჩრობა, ანუ ზედმეტად დამთმობი სვლა ე.წ. ოპოზიციის მისამართით. რატომ ვთვლი ამ ამბავს მეტიჩრობად? იმიტომ, რომ ისე წავიდნენ ბაიყუშ ოპოზიციასთან გარიგებაზე, ამ ქვეყნის მოსახლეობას არაფერი გვკითხეს – გვინდა ვადამდელი არჩევნები? გვაწყობს ზედმეტი ხარჯები? გასდით და ტირიან, ხომ? ბოლოს და ბოლოს, ყველამ ხომ მშვენივრად ვიცით, რომ საქართველოში არჩევნებს „ნაცმოძრაობის“ გარდა ვერავინ აყალბებს?

ამჯერად იმის თქმა მინდა, რომ ადგილობრივი არჩევნები, რომელიც ოქტომბრის ბოლოს უნდა ჩატარდეს, დიდ შართან და ხათაბალასთან არის დაკავშირებული რამდენიმე მიზეზის გამო: პირველი – შესაცვლელია ყველა რაიონის მერი. სამწუხაროდ, თითქმის ყველა მოყვანილ-დანიშნულია გიორგი კვირიკაშვილის საძმაკაცოდან. როდესაც ყოფილ პრემიერს ჰკითხავდნენ ხოლმე, კაცო, სად ნახე ეგეთი უცნაურები, საიდან მოიყვანეო? ეჰ, რა ვქნა, ჩემი „ტრუსიკის“ მეგობრები არიანო. საპრეზიდენტო არჩევნებში პირველი ტურის ჩაფლავების შემდეგ იქ, ზემოთ ისე იყვნენ გაბრაზებულები, მეორე ტურის დასრულებისთანავე აპირებდნენ მაგათ გაშვება-გაყრას, მაგრამ მერე გადაიფიქრეს, ბარემაც იყვნენ, ადგილობრივ არჩევნებამდე სულ ცოტაღა დარჩა, ვადამდელებში „მაყუთს“ ნუღარ დავხარჯავთო. არ ვიცი, შეიძლება სწორიც იყო, „მაყუთი“ ზედმეტად რომ აღარ დახარჯეს, მაგრამ საქმე ხომ გაფუჭდა? მეორე – გასაწმენდია „ქართული ოცნების“ რაიონული ორგანიზაციები, ასევე საარჩევნო კომისიები. ამაზე ადრეც დამიწერია, ვრცლად აღარ გავიმეორებ. ამჯერად ახალ გარემოებებზე მოგახსენებთ. სანამ ფაქტებს გადმოვალაგებ, ერთ რამეზე უნდა შევთანხმდეთ, როგორც ყველა წინა, 2012 წლის შემდგომი არჩევნები, ამ შემოდგომინდელიც აუცილებლად იქნება მოსაგები სულ მცირე, 55–60%-ით. თუ მეტი იქნება, მთლად უკეთესი. ისე, რაღა დაგიმალოთ და... ჩემზე რომ იყოს, აქამდეც დავნიშნავდი ვადამდელ არჩევნებს და საერთოდ მოვიშორებდი „ნაციონალურ მოძრაობას“, ზედ მივაყოლებდი ე.წ. ოპოზიციას. თუმცა აქ ისიც საფიქრალია, რატომ?

რატომ უნდა ვიაროთ ამ ბანძების ჭკუაზე? აი, ესეც პრინციპის ამბავია. ისე, სულ მიკვირს და ალბათ მომავალშიც გამიკვირდება, რატომ აქვთ ამორტიზებულ პოლიტიკოსებს, ვითომ პოლიტიკოსებს იმედი, რომ თუ 2022 წელს ვადამდელი არჩევნები ჩატარდება, აუცილებლად მოიგებენ? რატომ აქვს იმედი უცნაურ ნატო ჩხეიძეს, რომ ვადამდელ არჩევნებს მოიგებს? ან ნინო ბურჯანაძეს, რომლისგანაც აღარაფერი დარჩა, მაგრამ თავს მაინც პელედ აცხადებს? მე შეიძლება ვეღარასოდეს მოვხვდე პარლამენტში, მაგრამ პოლიტიკაში მაინც პელე ვარო. ჰა, ჰა, ჰა... არ გვახსოვდეს მაინც ჯერ მისი გაპარლამენტარება, შემდეგ კი გათავმჯდომარეობა, თუ არ ვცდები, სამჯერ უყარეს კენჭი და სამჯერვე ჩაფლავდა, სანამ ედუარდ შევარდნაძე არ ჩაერია და ჩემოდნებით „მაყუთი“ არ შეათრიეს, მანამდე ვერ დაამტკიცეს. 2001-ში იყო ეგ ამბავი. ან რისი იმედი აქვს ბიუჯეტის ქურდ გიგი უგულავას? ან ბლაყვე ირაკლა ოქრუაშვილს? ან იმას, ან ამას?

ახლა კი იმაზე, თუ რა საშიშროება არსებობს რეგიონებში და რა საკითხია გამოსასწორებელი სასწრაფოდ. ალბათ გახსოვთ, ჯერ კიდევ შარშანწინ მთავრობის მეთაური გიორგი გახარია გამობრძანდა ტელევიზორში და განაცხადა: ჩვენაო, როგორც ყველაზე ჰუმანური მთავრობა დედამიწის ზურგზე, ვადგენთ, რომ რეგიონებში ხელი შევუწყოთ მიწის ნაკვეთების რეგისტრაციასო. ამ კუთხით სიტუაციას ისე ვამარტივებთ, საკმარისია, რამე ძველი ქაღალდის ნაგლეჯი გქონდეთ, რომელიც დოკუმენტის მაგივრობას გასწევს, ეგრევე დაგირეგისტრირებთო. სანამ გახარია ამ ამბავს გვახარებდა, მაშინ ვადაც შეზღუდული გახლდათ, მიწების რეგისტრაცია 2021 წლის იანვარში უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ვადა გაურკვეველი დროით გახანგრძლივდა, რაც უთუოდ კარგი მოვლენა იყო. მოკლედ, გაგვიხარდა „გლეხობას“, მივაწყდით ნაკვეთების მზომელებს, ორთო-ფოტოების დამამზადებლებს, ნახაზების შემქმნელებსა და დავიწყეთ ჩაბარებები საჯარო რეესტრის განყოფილებებში. რა ქაღალდის ნაგლეჯი? მე პირადად თვითონ ედუარდ შევარდნაძის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები დავურთე, თავის ნახაზებით და რამე-რუქებით, მეგონა, წინ ვერავინ და ვერაფერი დამიდგებოდა. თურმე სადა ბაბაობ, ჩემო თავო? და მხოლოდ ჩემო თავო? თურმე რომელ ორღობეში სრიალებ მთელო ქართულო დუნიავ? აგერ, წელიწადნახევარი გადის, შევიტან, მომდის პასუხი: „მიმდინარეობს დამატებითი დოკუმენტაციის მოძიება“. შემდეგ მომდის შეტყობინება – „შეწყვეტილია“. თურმე იმის გარკვევას ცდილობენ, სანამ თბილისში გადმოვეწერებოდი, 1990-იან წლებში ვიყავი თუ არა სასოფლო კომლის წევრი. ვიყავი, ბატონებო, ვიყავი, მამაჩემმა ნაკვეთები იყიდა, ზოგი პრივატიზებით ერგო, მერე გარდაიცვალა და ახლა, ამ გაგანია 21-ე საუკუნეში ვიღაცები სახელმწიფოსაც აწვალებენ და მეც მაწვალებენ. მეტიც, კაცო, რა ქაღალდის ნაგლეჯი? მიუხედავად ყველა სახის დოკუმენტისა, გამომიცხადეს, მოწმეები უნდა მოიყვანოო, მომიჯნავები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ მაგ ნაკვეთებს მამაშენი ფლობდაო და შენ კიდე მისი შვილი ხარო. გაიგონეთ? მომინჯემ უნდა დამიდასტუროს, მე რომ მამაჩემის შვილი ვარ. შეიძლება ის მომიჯნე ასაკით იმდენად პატარაა, მამაჩემს არც კი იცნობდა. თუმცა ამას არა აქვს მნიშვნელობა, მთავარი სიტყვაა. აი, ასეთი სიტუაციაა სოფელში მასობრივად და ალბათ დამეთანხმებით, ეს არის ძალიან საშიში, მავნებლური, რადგან ხალხი ბუზღუნებს, მიშას დროს გამოაცხადეს, „რაც შენია, შენიაო“ და ეგრევე არეგისტრირებდნენო. ესენი ათას რაღაცას იგონებენო. ვაღიაროთ, სოფელში მუშაობით სიქაგამძვრალ ადამიანს ნაკლებად აინტერესებს, შეიძლება სულაც აღარ აინტერესებს, რა მოხდა საქართველოში 2012 წლამდე. ზოგიერთს რომ გაახსენებ, ასე და ასე იყოო, შემოგეტრიალდება და მოგახლის, გავიგე, მაგრამ მე მამა-პაპისეულ მიწას რატომ არ მიფორმებო? თქვენც არ ვიცი და... მე ეს ამბავი ჩაწყობილივით მგონია, არჩევნების პერიოდში სიტუაცია უნდა გაართულონ, ხალხი რაღაცით გააბრაზონ და მერე იძახონ, ამდენი და ამდენი პროცენტი ავიღეთო. თუ საჯარო რეესტრში ვინმე ბაყბაყ დევი არ ზის და სიტუაციას სპეციალურად არ ურევს, ამ პატივცემულ სახელმწიფოს ვიღაც ბალღისა უნდა სჯეროდეს და შევარდნაძის მიერ დამოწმებული „დაკუმენტისა“ არა? უკაცრავად, ბატონებო და ქალბატონებო, ეს ხომ აბსურდია, ეს ხომ თითიდან გამოწოვილი პრობლემაა?!

კიდევ ერთი საშიში მოვლენა!

ამა წლის აპრილში მთავრობამ ასევე გამოაცხადა, რომ მიწები, რომლებიც ადრე იჯარით იყო გაცემული, ამიერიდან აუქციონზე გაიყიდება და პირველადი შესყიდვის უფლება ყოფილ მოიჯარეს მიეცემა. თითქოს მომხიბლავი წინადადებაა, მაგრამ როდესაც გლეხი ფაქტის წინაშე დგება, აქ იწყება მთავარი. დავუშვათ, ადამიანი 20 წლის განმავლობაში ამუშავებს 10 ჰექტარ მიწას, დაუმთავრდა ხელშეკრულება და სახელმწიფომ აღარ გაუგრძელა, საერთოდ გააუქმა. ეს გლეხი წლების განმავლობაში პატიოსნად იხდიდა საბიუჯეტო გადასახადს, მაგრამ 10 ჰექტარში 30–40 ათასი ლარი რომ გადაიხადოს, ამდენი ფული არ აქვს. თქვეს, საბაზრო ფასზე ნაკლებად შევასყიდითო, სახელმწიფო წაეხმარება 25%-ითო. მიუხედავად ამისა, გლეხისთვის მაინც ძნელია ათეულობით ათასი ლარის გადახდა. რაღაც სხვანაირად არის მოსაფიქრებელი, ან წლებზეა გადასანაწილებელი, ან კიდევ ახლებური ფასები თუ მექანიზმებია დასადგენი. იძახიან, საბაზრო ფასებითო, დღეს კახეთში 1 ჰექტარი საშუალოდ 3-დან 5–6 ათას ლარამდეა, გააჩნია ადგილსა და მდებარეობას. ძალიან კარგი იქნებოდა, თუკი გლეხობას მიწების შესყიდვის შესაძლებლობა ექნებოდა და ამით ბიუჯეტიც იხეირებდა, მაგრამ როგორც ძველები იტყვიან ხოლმე, ააფრინე ალალიო, რაც არ არაო, არ არიო.

კიდევ ვიმეორებ და ალბათ კიდევ მრავალჯერ ვიტყვი (არჩევნებამდე), დღეს სოფელში ძალიან ბევრი კარგი საქმე კეთდება, მიხარია, გადარეული ვარ, მაგრამ ამ ყველაფერს ზემოდან მარილი უნდა. თუ ამოდენა საქმეს ვაკეთებთ, მაშინ ამ მიწების გამო ხალხი რატომღა უნდა გავაღიზიანოთ და გავაბოროტოთ? სხვათა შორის, ერთი ვერსიაც მაქვს, შეიძლება ეს ვერსია არ იყოს ჭკუისგან ძალიან შორს: მას შემდეგ, რაც გამოცხადდა, მიწებს უფასოდ დაგირეგისტრირებთო, საქართველოში უამრავი შპს შეიქმნა, რომლებიც უძრავი ქონების რეგისტრაციისას წარმოშობილი პრობლემების მოგვარებას გვთავაზობენ. ეს უკვე აღარ არის უფასო, იურიდიული კონსულტაციაც კი ფული ღირს. ამოცანა გვეკითხება: ხომ არ ხდება შეგნებულად საქმეების დამუხრუჭება, რათა მე და ჩემნაირებმა ამ იურიდიულ ფირმებს მივაკითხოთ? ან უკვე როგორც მოგახსენეთ, ვინმეს ავი პოლიტიკური მიზნები აქვს? მე პირადად არ მინდა, ამდენი სასიკეთო საქმე ვიღაცის მავნებლურმა საქციელმა გადაიყოლოს. წინ არჩევნებია, რომც არ იყოს, ამ საკითხს მაინც უნდა ნორმალური შესწავლა, იმის ნაცვლად, რომ ზედმეტი ბარიერები მოვიშოროთ, ახალ-ახალს ნუ ვიგონებთ, თქვე კაი ხალხო, მამაჩემმა წინა საუკუნეში მიწა რომ მიიღო პრივატიზაციით და სახელმწიფომ „დაკუმენტიც“ კი მისცა, ახლა 20–25 წლის ბალღებს ეკითხებით, მაშინდელი ამბავი მართალია თუ არაო? თუ გინდათ, 102 წლის მიხა პაპა იყოს, თუ საბუთი „სახეზეა“, ვის რა ეკითხება, რა მოწმე, რის „ყარაული“?!

კარგად გამიგეთ... მე მინდა, რომ ეს არჩევნები უნაკლოდ, ყოველ შემთხვევაში, კარგად ჩატარდეს, რათა მტრებს არ მიეცეთ საშუალება, ის გაიმეორონ, რაც ახლა გააკეთეს, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. ვის ვეხვეწებით, რას ვეხვეწებით? ახლა ისე არ მოხდეს, ადგილობრივ დონეებზე რომ შექმნან ე.წ. კრიზისი და ისევ მოგვაკითხონ ჩვენმა ევროპიელმა პარტნიორებმა.

მოკლედ, მე პირადად გადავწყვიტე, ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით რეგიონული, ანუ სასოფლო თემა უფრო აქტუალური გავხადო, თუ რამე დარღვევები ან მავნებლური მოქმედებები აღმოვაჩინე, არავის დავინდობ. თუ თქვენ დაინახავთ რამე ისეთს, არასასიამოვნოს და მავნებლურს, შეგიძლიათ, დამირეკოთ, ერთად ავტეხოთ ამბავი და მივაწვდინოთ ხმა მთავრობას.





გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# პალესტინა-ისრაელის ომი ის ომია, სადაც ორივე მხარე მართალია

*გვესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე:*

**— ბატონო სოსო, „ჰამასმა“ ღაზას სექტორიდან 2 ათასამდე რაკეტა გაისროლა. კონფლიქტების კონფლიქტი — ასე უწოდებენ ამ ომს. მოდით, გავაანალიზოთ როგორია შიდა პოლიტიკური სიტუაცია ისრაელში, პალესტინაში, სად არის ამ დროს ირანი, თურქეთი, რუსეთი და თუნდაც საქართველო?**

— საქართველო სად არის, ამას, ნამდვილად ვერ გეტყვით, ეს დიდი სახელმწიფო საიდუმლოებაა, დანარჩენზე კი ვისაუბროთ. ისრაელის კონფლიქტთან დაკავშირებით, ჩვენთან, ცალმხრივი მიდგომაა. აცხადებენ, რომ „ჰამასმა“ ისრაელს რაკეტები დაუშინა, მაგრამ კონფლიქტი ხომ ამით არ დაწყებულა. დაახლოებით, ისეთივე სიტუაციაა



როგორიც 2008 წელს საქართველო-რუსეთის ომის დროს იყო. მაშინ ამბობდნენ: პირველმა საქართველომ ისროლა და ომიც მან დაიწყოო. წინა პრე-ისტორია როგორი იყო, ეს რუსეთს არ აინტერესებს. დღესაც, იგივე ხდება. რასაკვირველია, „ჰამასი“ ტერორისტული ორგანიზაციაა, ეს ფაქტია. თუმცა, ამის გარდა, მის უკან პალესტინელი ხალხი დგას. ამ ტერიტოარიაზე, კიდევ, გახლავთ ოფიციალური ადმინისტრაცია მაჰმუდ აბასის მეთაურობით, მაგრამ არჩევნებში, ყოველთვის, „ჰამასი“ იმარჯვებს იმიტომ, რომ მას ხალხი მხარს უჭერს. აღმოსავლეთმცოდნე ბატიაშვილს ვუსმინე: საუბარს, რატომღაც, ყველა დღევანდელი დღიდან იწყებს. ასე, ვერაფერს გავიგებთ. 1948 წლის მაისში გაეროს უშიშროების საბჭომ პალესტინაში ორი სახელმწიფოს შექმნის თაობაზე რეზოლუცია მიიღო. იმ დროს, იქ, ებრაული სახელმწიფოს ხსენებაც არ იყო. გადახედონ: რა მასშტაბის ტერიტორიები გამოუყო პალესტინას და ისრაელს? ცალმხრივი პროპაგანდის ტყვეობაში ყოფნა, არაფერს გვარგებს. დღეს, ისრაელს 18-ჯერ უფრო დიდი ტერიტორია უკავია, ვიდრე პალესტინას, რაც გაერომ გამოუყო. ეს ხომ უკანონო, პალესტინელებისთვის წართმეული ტერიტორიებია? კი, ომს, ყოველთვის, პალესტინელები, არაბები იწყებდნენ, მერე, მუდამ მარცხდებოდნენ, ხოლო ისრაელი ამ ტერიტორიებს იერთებდა და იერთებდა. აი, მაშინ ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა. პირველი პრემიერ-მინისტრი თავის მემუარებში წერდა: ვოცნებობ, ისრაელის მოსახლეობა სამი მილიონი გახდეს. ამას თუ მივაღწევთ ე.ი. უკვე სახელმწიფო ვიქნებითო. დღეს, ამ რიცხვმა 9 მილიონს გადააჭარბა. გავიხსენოთ, კონფლიქტი სად დაიწყო? — მუსულმანური სამყაროს ოთხ ყველაზე საპატივცემულო ტაძართა შორის ერთ-ერთში ალ-აქსაში. საბაბი შემდეგი გახლდათ: აღმოსავლეთ იერუსალიმიდან ისრაელმა არაბთა გასახლება დაიწყო. გეკითხებით: ამაზე, ხმას რატომ არავინ იღებს? სწორედ, ამ ფაქტს მოჰყვა კონფლიქტი, რაშიც „ჰამასი“ ჩაერთო. მან უკვე 2 ათასამდე რაკეტა გაუშვა. ისრაელის „რკინის გუმბათმა“ რაკეტების 90% ადვილად ჩამოაგდო. იმიტომ,



რომ ამ რაკეტებთან მიმართებაში ეს ტერმინი შეურაცხმყოფელია. ამ ე.წ. რაკეტებს პალესტინელები გარაჟებში, ავტოსადგომებში აკეთებენ. ეს რომ ნამდვილი რაკეტები იყოს, ორი ათასი მათგანიდან თუნდაც 10% — 200 რაკეტა რომ დაცემოდა ისრაელს, ქვა-ქვაზე აღარ დარჩებოდა. მე, ვგულისხმობ, თანამედროვე რაკეტებს, როგორიცაა მაგალითად, „დედამიწა, დედამიწა“, რაც აქვს აშშ-ს, რუსეთს, თავად, ისრაელს. „ჰამასის“ რაკეტას კი შეუძლია მხოლოდ ის ობიექტი ააფეთქოს რასაც მოხვდება, მაგალითად, ავტობუსი, სახლი და ა.შ. სხვა მას არაფერი შეუძლია. ეს, ერთი საკითხი. გარდა ამისა, დღე-დღეზე, ალბათ, სახმელეთო ოპერაცია დაიწყება. პალესტინელებს გვირაბები აქვთ გაყვანილი და იქ, იმალებიან. ისრაელის ერთი განხორციელებული ავია-იერიში, ნგრევის თვალსაზრისით, უფრო ეფექტურია, ვიდრე პალესტინელების გაშვებული ორი ათასი რაკეტა. „ჰამასის“ შტაბ-ბინა დანგრეულია, ასევე, სავადმყოფოები, სკოლები, უკვე, დაღუპულ მშვიდობიან მოსახლეთა რიცხვი პალესტინაში ასს გადასცდა. ისრაელში, მსხვერპლი 10-იც არ არის. რასაკვირველია, სიკვდილი ყველასთვის სიკვდილია. ებრაელი 7 წლის ბავშვი რომ დაიღუპა და მისი ფოტო ვნახე, მთელი რამე არ მძინებია. პალესტინაში 70 ბავშვი დაიღუპა. მათი ფოტოები სად არის, თამარ, რატომ არ ქვეყნდება? ერთი დაღუპული ებრაელი ბავშვის ფოტომ მთელი მსოფლიო მოიარა. ეს უსამართლობის მეორე მხარეა.

**— რა გზას ხედავთ კონფლიქტის დასარეგულირებლად?**

— კონფლიქტის დარეგულირება მშვიდობიანი, მოლაპარაკების გზით, გამორიცხულია. ებრაელი ხალხი, ისე როგორც ყველა ცივილიზებული სამყაროს წარმომადგენელი, იმიტომ იბადება, რომ კარგად იცხოვროს. პალესტინელი კი იბადება იმიტომ, რომ ბრძოლაში მოკვდეს. პალესტინელი 13–14 წლის ბავშვი, უკვე, სიკვდილზე შეგნებულად მიდის. მისი საბრძოლო იარაღი შურდულია. გასული საუკუნის 70-იან წლებში ამ რეგიონში რამდენჯერმე ვიმოგზაურე, მისაუბრია როგორც ებრაელებთან, ისე პალესტინელებთან. თავისი სიმართლე, ორივე მხარეს აქვს. ვერავინ გაექცევა იმ ფაქტს, რომ





იერუსალიმი ებრაული ქალაქია. მაგრამ, აბა, არაბებს, პალესტინელებს ჰკითხეთ რას ფიქრობენ. ისინი ამბობენ: 2500 წლის წინ რომის იმპერატორმა ებრაელები რომ გაყარა, დამნაშავე ჩვენ ხომ არ ვართო. დღეს იმის თქმა, რომ იერუსალიმი მხოლოდ ებრაული ქალაქია, არ შეიძლება. იერუსალიმში სამი რელიგიის სიძველეებია: იუდევობა, ქრისტიანობა და მუსულმანობა. ამიტომ, ეს ურთულესი პრობლემაა. ვინმეს უნახავს



როგორ ცხოვრობდნენ არაბები პალესტინელთა ლტოლვილთა ბანაკებში? — მე, მინახავს ორჯერ და ეს ისეთი საშინელებაა ფილმებშიც რომ არ გექნება ნანახი. იმ ბანაკში გაზრდილი ახალგაზრდა, უკვე, ნორმალური აღარ არის. იგი, ყოველ წუთს მზად არის მოკვდეს. ამიტომაც არის ყველა ომში დაღუპულთა მსხვერპლის შეფარდება 1/8-სთან, 1/9-სთან. ანუ, ერთ დაღუპულ ებრაელზე, 9–10–11 პალესტინელი მოდის. ახლაც, ასეა. ისრაელის საზღვარზე 95 ტანკი დგას. რასაკვირველია, შევლენ, გადაუვლიან, გადახნავენ, მაგრამ კონფლიქტი მაინც არ მოგვარდება, დამყარდება მხოლოდ დროებითი მშვიდობა. 2014 წლის ომის შემდეგ პალესტინელებს 6-7 წელი დასჭირდათ, რათა ჭრილობები მოეშუშებინათ. ახლა, შეიძლება ნაკლები დრო დასჭირდეთ იმიტომ, რომ ბევრი სპონსორი ჰყავთ. 2014 წლის ომში მათ, ეს რაკეტები, საერთოდ, არ ჰქონდათ. დღეს, ისრაელის პრესა წერს, რომ პალესტინელებს სამი ათასამდე ასეთი რაკეტა აქვთ. გარდა ამისა, მათ ირანი ეხმარება. ფაქტობრივად, ირანს „ჰამასი“ კმაყოფაზე ჰყავს აყვანილი. კი, „ჰამასი“ ტერორისტული ორგანიზაციაა, მაგრამ მასთან ძალისმიერი მეთოდებით ვერაფერს მიაღწევ. აგერ, იგივე, ამერიკა — მსოფლიოში უძლიერესი, უმდიდრესი ქვეყანა დარწმუნდა, რომ ავღანეთში ძალით რაიმეს გადაწყვეტა არ შეიძლება. მან, საბჭოთა კავშირის მაგალითი გამოიყენა და უკვე გამოყავს ავღანეთიდან ჯარები. 11 სექტემბერს უკანასკნელი ჯარისკაცი გამოვა ავღანეთიდან. რა ხდება? — თალიბებმა, უკვე, ხელთ ორი უდიდესი პროვინცია ჩაიგდეს. იქ, ასეთი კონფლიქტები ომით არ წყდება. იგივე, ავღანელებისთვის ომი ყოველდღიური ცხოვრებაა. ამერიკელი ჯარისკაცის და თალიბის ყოფა ძალიან განსხვავდება. თალიბი გამხმარი პურით იკვებება, ფეხშველა ფეხზე ფლოსტები აქვს წამოცმული. ამერიკელები სნიკერსებით, წვენებით მარაგდებიან, მხოლოდ მასაჟისტები და ვიზაჟისტები არ ჰყავთ. და მაინც, ვერაფერს ახერხებენ, მიდიან. ისრაელიც ვერაფერს მოახერხებს. კი, გადაუვლის, დაანგრევს, მსხვერპლიც იქნება, მაგრამ გავა სამი-ოთხი წელი და ისევ იგივე ამბავი დატრიალდება. პალესტინელები თავიანთ ბედს არასდროს შეეგუებიან. გარდა ამისა, ისრაელს ჰყავს არაბი მოქალაქეები და არცთუ ცოტა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ორი თვის წინ ისრაელმა მიიღო გადაწყვეტილება და განაცხადა: ჩვენს ქვეყანას ებრაული სახელმწიფო ისრაელი ჰქვიაო.ე.ი. რა გამოდის, მოქალაქე ვინც ებრაელი არ არის, მეორეხარისხოვანია? ჩვენ რომ დავარქვათ — ქართველების ქვეყანა საქართველო, რა მოხდება წარმოგიდგენიათ? აქ, ხომ რუსები, ებრაელები, სომხები, აზერბაიჯანელები ცხოვრობენ და რას იტყვიან, ტაშით შეხვდებიან ამ ამბავს? ასე, რომ მეტი დაფიქრებაა საჭირო. კი, მსოფლიოს საზოგადოებრივი

აზრი ისრაელის მხარესაა, მაგრამ აბა, ნახეთ გაეროს ასამბლეების მონაცენები: ისრაელი, იქ, კატასტროფულ უმცირესობაშია, 200 ქვეყნიდან მას 30–40 თუ უჭერს მხარს. ამიტომ, ეს ძალიან რთული პრობლემაა და დილეტანტიზმიც დამღუპველია. დღეს, ჩვენი ელჩი ისრაელში — ჟვანია გამოდის და აცხადებს: ქართველები მოწინავე რიგებში იბრძვიან ტერორისტების წინააღმდეგო. ეს, უკვე, ისტორიული უსამართლობაა. დღეს, პალესტინელი დევნილი, მაქსიმუმი, 18 მილიონია. მათ სახელმწიფო, სამშობლო, ქვეყანა არ აქვთ. დავანებოთ თავი 2 ათასი წლის წინ რაც მოხდა. უკანასკნელი ათასი წელიწადი აქ, ხომ არაბები ცხოვრობდნენ. ორი ათასი წლის წინ საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე იყო გადაჭიმული. ასე თუ გავყევით უნდა დავიწყოთ ომი და ამ საზღვრების აღდგენა მოვითხოვოთ, ხომ. არადა, რეალობა



როგორია — აგერ, გარეჯიც კი სადავო გაგვიხდა, რაც ყველანაირად ქართულია და ამ დროს იმის მტკიცებაც კი გვჭირდება, რომ ეს ჩვენი ტერიტორიაა. ამიტომ, ეს პრობლემა ხელწამოსაკრავი არ არის. მე, როგორც უკანასკნელი მოჰიკანი, მეცნიერი, მკვლევარი ვარ და მეცნიერული ჭეშმარიტება მაინტერესებს. დღეს ვერ იტყვი, რომ ისრაელიც რაღაცაში დამნაშავეა. პოლიტკორექტულობა ამის უფლებას არ იძლევა. კი, „ჰამასი“ ტერორისტული ორგანიზაციაა, ამას არავინ უარყოფს, მაგრამ ფესვები საიდან მოდის?! ცარიელ ადგილას არცერთი ტერორისტული ორგანიზაცია არ იქმნება. ამას თავის მიზეზები, ძალიან ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. მაშინ აიღონ 1948 წლის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, დაიდონ როგორც საგზაო რუკა და საზღვრები ისე გაავლონ. გავიხსენოთ, ვინ აღიარა პირველმა ისრაელი დე-იურე? — მეორე დღესვე აღიარა საბჭოთა კავშირმა, ხომ და მხოლოდ ერთი წლის მერე ამერიკამ. ისე ხდებოდა, რომ ყველა ომს არაბები იწყებდნენ. უცებ, გაიღვიძებდნენ და ნახავდნენ: მორჩა, მათ მიწაზე, ახლა, სხვები ცხოვრობდნენ და იწყებდნენ ომს, მერე მარცხდებოდნენ, რადგან მზად არ იყვნენ. ყველა ომი მათ დაიწყეს და მარცხდებოდნენ, ისრაელი კი ტერიტორიას იფართოვებდა. ისრაელი ამბობდა: მე, მსხვერპლი ვარ, ომი მათ დაიწყესო. მაგრამ რატომ დაიწყეს? — ეს საკითხი მიჩუმათებული იყო. ცივილიზებულ დასავლეთში და მსოფლიოშიც ისტორიული სამართლიანობა მოიკოჭლებს. დღეს, ასეთი რეალობაა. დასკვნა ისაა, რომ ახლა, ეს კონფლიქტი ჩაცხრება,



დროებით მშვიდობა აღდგება, ეს იქნება დროებითი დაზავება იქამდე, სანამ „ჰამასი“ ამ ჭრილობებს მოიშუშებს და ახალ შეიარაღებას მიიღებს.

**— ბატონო სოსო, ნეთანიაჰუს არ ჰქონდა კარგი ურთიერთობა ობამასთან. იგი, წინააღმდეგი იყო ირანთან ბირთვული შეთანხმების. დღეს აშშ-ში ახალი ადმინისტრაციაა. რას უნდა ველოდეთ?**

— ამ რეგიონის მომავალი, ირანზე ძალიან არის დამოკიდებული. დღეს, საქმე საით მიდის? — თუ ბაიდენმა ვერ შეძლო ირანის დაბრუნება ხელშეკრულებაზე, ე.ი. იგი ყოველ დღე მიუახლოვდება იმ კრიტიკულ ზღვარს, რომლის მიღმაც არის ატომური ბომბი ე.წ. საბრძოლო ურანი. ირანს იგი, უკვე, 20%-ით აქვს გამდიდრებული, ყოველდღე ათასობით ცენტრა-ფუგებს ყიდულობს. რა არის გამოსავალი?



აქამდე, ისრაელს ტრამპი აჩერებდა. მან დედაქალაქი იერუსალიმში გადაიტანა, პალესტინელებს დახმარება შეუწყვიტა. ყოველ წელს აშშ-სგან 450 მილიარდ დახმარებას ღებულობდნენ. ახლა, ბაიდენი აღუდგენს. ისრაელისთვის ირანის ბირთვული იარაღი დამოკლეს მახვილივით არის, რამაც შეიძლება რეალობა შეცვალოს. დღეს თელავივში არაბული სახელმწიფოს შექმნაზე გაგონებაც არ უნდათ. ამ შემთხვევაში, საქმე, სულ სხვაგვარად წავა. ასე არ შეიძლება. რამდენი თაობა გაიზარდა უსამშობლოდ. აქვე, ერთი საინტერესო დეტალი: პალესტინელებს მთელ არაბულ სამყაროში ყველაზე განათლებული ინტელიგენცია ჰყავს და ყველაზე შემოქმედებით-უნარიანი ხალხია. მთელს საუდის არაბეთში, კუვეიტში, ბახრეინში – ნავთობში, გაზში — ინჟინრები სულ პალესტინელები არიან. ამიტომ, პალესტინა მარტო „ჰამასი“ არ არის. „ჰამასი“ უბრალოდ წინა ხაზზე დგას, მებრძოლნი არიან, იხოცებიან, მათ სამოთხე არ აქვთ, იბადებიან იმიტომ, რომ ბრძოლაში მოკვდნენ. მათ თავში ჩაბეჭდილი აქვთ, რომ სამშობლო ებრაელებმა წაართვეს. აი, ეს არის. კი, იერუსალიმი 2500 წლის წინ ებრაული ქალაქი იყო, დღეს ასე აღარ გამოვა. უაღრესად რთული პრობლემაა. დილეტანტიზმს რომ ვისმენ, ნერვები მეშლება, ტელევიზიები აცხადებენ: ტერორისტები ისრაელს რაკეტებს უშენენ, საწყალი ებრაელები და ა.შ. ერთი ნახონ პალესტინელები როგორ ცხოვრობენ. საქართველოში ლტოლვილთა ბანაკები ბევრს უნახავს. პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკი მგონი მარტო მე მაქვს ნანახი. ეს საშინელებაა, უდაბნოში დღისით 40 გრადუსი სიცხეა, ღამე 0 გრადუსი, დგას კარვები და გაეროს ჭრელი ჭურჭელი — ფერად-ფერადი ჯამები, წითელი ჯვარის მანქანა მოდის, წყალი ეგვიპტიდან 100 კილომეტრიდან მოაქვს უკვე ადუღებული. მათ ისეთივე პრიმიტიული ცხოვრება აქვთ, როგორც გამოქვაბულებში. ამ ბანაკებში გაზრდილი ბიჭები, რასაკვირველია, მზად არიან სიკვდილისთვის. გინდ ტერორისტი დაუძახე და რაც გინდა. ეს დამღა, რომ „ჰამასი“ ტერორისტული ორგანიზაციაა, თითქოს, ყველაფერს ფარავს და საშუალებას აღარ იძლევა ცოტა სამართლიანად გადაქექო რა იმალება ამ ტერორიზმის მიღმა. ყველას პირზე მხოლოდ ეს აკერია: „ჰამასმა“ რამდენი რაკეტა გაუშვა ისრაელის მიმართულებით. ისრაელს მოუწოდებენ სახმელეთო ოპერაცია არ დაიწყოს,



მაგრამ იგი ასე არ მოიქცევა. იმიტომ, რომ ისრაელი იმ უმცირეს სახელმწიფოთა შორის არის, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს არავითარ ანგარიშს არ უწევს. მიიღებს გადაწყვეტილებას და სხვის აზრს ფეხებზე იკიდებს. სახმელეთო ოპერაცია უდიდესი მსხვერპლით დასრულდება.

**— ბატონო სოსო, რუსეთს ორივე მხარესთან — ისრაელთანაც და პალესტინასთანაც კარგი ურთიერთობა აქვს, თუმცა, მაინც ტერორისტების მხარდამჭერად აღიქმება. სად**



**არის მისი ადგილი ამ კონფლიქტში. ასევე, თურქეთის, რომლის პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა: იერუსალიმი ჩვენი ქალაქიაო?**

— კი, თურქეთს ისრაელთან, მაინცდამაინც, ტკბილი ურთიერთობა არ აქვს, განსაკუთრებით, ორი წლის წინ მომხდარი ინციდენტის შემდეგ, მათ შორის, ურთიერთობა ვერ აღდგა. რაც შეეხება რუსეთს, დღეს, იგი ძველი საბჭოთა კავშირი აღარ არის. იცით, საბჭოთა კავშირის დროს პალესტინელებს საიდან ვიცნობდი? — ყველანი მოსკოვში სწავლობდნენ და ჩემსავით რუსულად ლაპარაკობდნენ. დღეს, ასე აღარ არის, მაგრამ სიმპატიები, რასაკვირველია, შემორჩა. თუმცა, თავად რუსეთში, დღემდე, ისრაელის გავლენა გაცილებით ძლიერია, მაგრამ არცთუ გადამწყვეტი. პუტინი მაინც ცდილობს არაბებიც არ მოიმდუროს. რაც არ უნდა იყოს, არაბები 150 მილიონიანი კონტიგენტია, ისლამური სამყაროც დიდია და მათი გადაკიდება არავის უნდა მით უმეტეს, როცა თავად, რუსეთში ისლამური მოსახლეობა ჰყავს. ჩეჩნეთის პრეზიდენტმაც ხომ ნახეთ რა მკაცრი განცხადება გააკეთა, კადიროვმა ისრაელს შავი დღე დააყენა. კადიროვი მარტო არ არის. ამიტომ, უფრო ნათლად გამოკვეთილი, დღეს, ირანის პოზიცია გახლავთ. ირანი პალესტინელებს ღიად ეხმარება. სხვებიც ეხმარებიან, მაგრამ ამას მტკიცებულება სჭირდება. ფაქტი ერთია, პირდაპირ ვთქვათ: პალესტინელებიც უპატრონონი არ არიან.

**— ისრაელში, უკვე მერამდენე ვადამდელი არჩევნები ტარდება — ნეთანიაჰუ მთავრობას ვერ აყალიბებს. ამ პოლიტიკურ მარცხებს კავშირი აქვს ომთან?**

— კი ბატონო, მთავრობას ვერ აყალიბებს, მაგრამ თავად ებრაელმა ხალხმა ამ უდაბნოში საოცრება შექმნეს, ხომ. მთავრობა არ ჰყავთ, მაგრამ ნახეთ, რა ბრწყინვალედ შეებრძოლა კოვიდს ეს უმთავრობო ქვეყანა და პრაქტიკულად, ეს სენი დაამარცხა.



სკოლები, ბაღები, რესტორნები ყველაფერი ღიაა, მორჩა, კოვიდი აღარ არის. მოსახლეობის 70% ვაქცინირებულია. გარდა ამისა, მთავრობა არ არის, მაგრამ ინსტიტუტები მუშაობს. როგორც ამერიკაში — პრეზიდენტი გინდ იყოს, გინდ არა, ინსტიტუტები მაინც მუშაობენ. ჩვენთან, მთავრობაც არის, პრემიერიც, პრეზიდენტიც და ვაქცინა გათავდა, ფაფუ. კი, ნეთანიაჰუმ მთავრობა ვერ ჩამოაყალიბა. გარდა ამისა, მას, დღეგამოშვებით, სასამართლო პროცესები აქვს — დამნაშავეა კორუფციის ბრალდებით. მიუხედავად ამისა, უცნაურია, მაგრამ სტაბილურობა არის, უმთავრობობა არც ქვეყანას ეტყობა, არც ეკონომიკას, არც ვალუტას, არც ცხოვრების დონეს. ახლა, გამოჩნდა, რომ სამხედრო თავდაცვისუნარიანობაც შესანიშნავია. ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა ბრწყინვალედ მუშაობს. გენშტაბი, არმია თავის საქმეს აკეთებს, ზეგ, უკვე, ალბათ, ტერიტორიაზე შეიჭრებიან. ხანდახან, ვფიქრობ: საერთოდ, გვჭირდება კი მთავრობა? ისრაელი ამტკიცებს, რომ მთავრობა არ სჭირდება. ცხონებული რეიგანი ამბობდა: მთავრობა ვერცერთ პრობლემას ვერ გადაჭრის, ვინაიდან ყველაზე დიდი პრობლემა თავად არისო. ანალოგია, ჩვენს მთავრობასთან, ცოტა რთულია.

**— საუბრის დასაწყისში იხუმრეთ: საქართველო სად არის ეს საიდუმლოებააო. საერთაშორისო დღის წესრიგში, დღეს, ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი, ასევე, უკრაინა განიხილება, ჩვენ სად ვართ? ასეთი კონფლიქტები როცა იღვიძებს, ჩვენ უკანა პლანზე გადავდივართ და ჩვენი რეგიონი ყურადღების ცენტრში აღარ არის...**

— რასაკვირველია, ასეა. მე, თვალყურს ვადევნებ, ჩემი პროფესიაც ეს არის, და რას ვხედავ: იყო პერიოდი, როცა ამბობდნენ: უკრაინა, და საქართველო, მისი ტერიტორიული მთლიანობა და ა.შ. ნელ-ნელა საქართველო, სრულიად, მიივიწყეს. საქართველოში აღარ არის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა ესე უნდა იყოს და მორჩა, თითქოს, გადაწყდა ეს პრობლემა. აი, ასეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება. დეგოლი ამბობდა: სულაც არ არის საჭირო დიდი სახელმწიფო იყო, რათა საერთაშორისო არენაზე ძლიერი დიპლომატია გაგაჩნდესო. ეტყობა ამას ჩვენზე, დღევანდელ დღეზე ამბობდა.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ᲗᲐᲕდადებული ერი



**ვახტანგ ხარჩილავა:**

ჩვენ თავდადებული ერი ვართ, ბალიშზე ᲗᲐᲕ დადებული ერი...

●

...ᲗᲐᲕ დადებულმა ერთმა მშვიდად მიიღო ინფორმაცია მისი ცნობილი და თვალსაჩინო შვილის მკვლელობის შესახებ — ერთი კი წამოსწია თავი და უკმაყოფილოდ წაიბუზღუნა: — რა შემაძრწუნებელი ამბები ხდებაო და ისევ ბალიშზე დადო ამდენი ძილისგან გაბურსალებული თავი...

— ესენი ვინა ყოფილან, კაცო, რა არ ვქენით, რა არ მოვიმოქმედეთ, მაგრამ მაინც ვერ ავაღებინეთ ბალიშიდან თავი, — გაგიჟებულები არიან ვიღაც-ვიღაცები. — ამათზე არაფერი ჭრის, რა ვქნათ, კიდევ რა გავაკეთოთ ისეთი, რომ გამოფხიზლდნენ და ბალიშიდან თავი აიღონ?



— ნიშადური ხომ არ გვეცადა?

— ნიშადური რას უშველის, ამდენმა მსხვერპლმა ვერ გამოაღვიძა ესენი და ნიშადური რას უშველის — ვარდის სურნელივით შეისრუტავენ...

— მაშინ კიდევ ერთხელ ვცადოთ და რომელიმე ცნობილი, ძალზე ცნობილი, ძალზე საყვარელი და ძვირფასი ადამიანი გავაგოროთ...

— დარჩათ ვინმე?

— კი, ჰყავთ რამდენიმე...

— პოლიტიკოსები არ შემომთავაზო ტყუილად, პოლიტიკოსებზე ესენი არ რეაგირებენ — ყველა ერთ დღეს რომ გავწყვიტოთ, ხმას არავინ ამოიღებს.

— ერთი იმ მეტაფიზიკოსს ჰკითხე, ივლისამდე კიდევ ერთ თვალსაჩინო ადამიანს მოკლავენო, რომ იძახის, ვის გულისხმობს იმ თვალსაჩინო ადამიანში?

— კითხვა რად მინდა, ისედაც ვიცი, ვისაც გულისხმობს...

— ჰოდა, შევუდგეთ მაშინ საქმეს. ისე, შენ როგორ ფიქრობ — ახლა მაინც გაამართლებს?

— ამჯერად ნამდვილად გაამართლებს! ბოლოსთვის გვყავდა ეს კაცი შემონახული და ახლა მაგის ჯერიც დადგა, უკანასკნელი სამსახური გაუწიოს თავის ერს, ანუ გამოაფხიზლოს.

— არა, არა, გადამრევენ ეს ქართველები — ჩვენ მათკენ, ესენი კიდევ ეშმაკისკენ, ანუ ბალიშისკენ.

— ბალიში კი არა, ისეთ რაღაცას ჩავიდენთ, ერთი საუკუნე ნორმალურად არ დაეძინებათ.

— ჰე, ბიჭო, დროზე ქენით სიკეთე, თორემ თითო-თითოდ რამდენი უნდა ვხოცოთ, ბოლოს შეიძლება გამოსაღვიძებელიც არავინ დარჩეს...





●

ᲗᲐᲕ დადებულმა ერმა არ იცის, რომ იმ თავის მოჭრას უპირებენ, ბალიშზე რომ უდევს ნეტარად...

როცა ძალიან თავდადებული ხარ, თავიც რომ მოგჭრან, არ უნდა გაგიკვირდეს და არც ძალიან უნდა ინაღვლო.

ბოლოს და ბოლოს, სულ ბალიშზე დადებული თავი რისი მაქნისია — გინდა გქონია, გინდ — არა...

წაგვჭრიან ამ თავს, მაგრამ სულ უთავოდაც ხომ არ დაგვტოვებენ — უთავოდ დარჩენილ კისერზე ვინმეს თავს დაგვადგამენ და თავდადებულებიდან თავ დადგმულებად ვიქცევით.

— ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნეს! — ჯიუტობს ლელთ ღუნია.

მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარით ხარ ნაჩხვლეტი, მაგრამ რა დროს ეგეთი რაღაცებია — ახლა ყველას ერთი თავი უნდა ედგას, ერთი დიიდი თავი და მსოფლიოს აზრები იმ ერთ დიდ თავში უნდა მოიხარშოს...

რაღა ეგა და რაღა ათენგენობას საერთო ცეცხლზე შემოდგმული დიდი ქვაბი...

ყველანი გაერთიანებულან — ჩინგიზ ხანიც, თემურ ლენგიც, ალექსანდრე მაკედონელიც, ადოლფ შიკლგრუბერიც, ვლადიმერ ლენინიც და ერთად აპირებენ დედამიწის დაპყრობას.

ამ „შანტრაპას“თავისი დაჟანგული ხმლით ლელთ ღუნია, აბა, რას უზამს?

●

მეტი რა უნდა ვუქნათ ამ ᲗᲐᲕ დადებულ ერს, რით ავაღებინოთ ბალიშზე დადებული თავი? — პრეზიდენტი გამსახურდია მოვუკალით, მერაბ კოსტავა მოვუკალით, საკუთარი დედაქალაქი საკუთარი ხელით ვანგრევინეთ, ქვეყნის მესამედი წავართვით, მაინც არაფერი შველით — არა და არ ფხიზლდებიან. ილია ჭავჭავაძეს ხომ არ გავაცოცხლებთ და ხელმეორედ ხომ არ მოვკლავთ? ასეთი ᲗᲐᲕ დადებული ერი არც მინახავს და არც მსმენია, — წუხს ᲗᲐᲕ დადებული ერის „გამოსაფხიზლებლად“ შექმნილი სპეციალური კომისიის თავმჯდომარე და წინ დადებულ სიას, ვინ იცის, მერამდენედ კითხულობს.

სიაში შავჩარჩოშემოვლებული გვარ-სახელები სჭარბობს, რომლებსაც გვერდით ჯვარი აქვს დასმული.

ახალი კანდიდატების ძიებაში ილევა ღამე და ცას მზის პირველი სხივები ამოასხამს სისხლისფრად.

ოქროთი მოვარაყებული სამების გუმბათიდან არეკლილი შუქი მტკვარს ეფინება...

სისხლისფერია აქამდე მღვრიე მტკვარიც და ძალიან ჰგავს გადახსნილ ძარღვს...

**2007 წ.**

**მინაწერი 14 წლის შემდეგ:**

ამ წერილის გამოქვეყნებიდან 14 წელი გავიდა.

ამ 14 წლის განმავლობაში თავდადებულმა ერმა ის კი მოახერხა, რომ 2012 წელს ჯალათებისა და მკვლელების პარტია ჩამოალაბორანტა, მაგრამ მალევე ისევ ბალიშზე მიდო გამარჯვებით გაბრუებული თავი და ძილი გააგრძელა.

ისე ღრმად სძინავს, ვიღაც-ვიღაცებს ჰგონიათ, რომ მოკვდა, მაგრამ არა, არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს.

გაიღვიძებს, მაგრამ ახალგაღვიძებულზე, როცა ჯერ კიდევ ბურანშია, ისეთ რაღაცებს აკეთებს ხოლმე, ჯობია, ეძინოს.

სანამ სძინავს, მსოფლიოს დამლაგებლები მის არეულ-დარეულ ქვეყანას თავიანთ ჭკუაზე მიალაგმოალაგებენ, ძლივს გამოხვეტილ ნაგავს ისევ სახლში შეაბრუნებენ და ეს რომ გაიღვიძებს და ნაგვის სუნი რომ შეაწუხებს, უკვე გვიან იქნება.

სძინავს ᲗᲐᲕ დადებულ ერს, სძინავს და ძალიან არ უყვარს, როცა აღვიძებენ.

ასე ჰგონია, ვინც აღვიძებს, ის მისი მტერია, ვინც იავნანას უმღერის— მოყვარე.

„ეჰ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“





# „პოლიტპატიმარი" „ბოროტების საძმოდან" და ლეშიჭამია ტურების ხროვა

„ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია პარლამენტის მუშაობაში ჩაერთოს ყველა დეპუტატი, მისაღებია უმნიშვნელოვანესი ცვლილელები, მათ შორის საკონსტიტუციო, რასაც სრულყოფილი წარმომადგენლობა ჭირდება პარლამენტში. დრო ახლა ცვლილებების საწინააღმდეგოდ მუშაობს. დროა ენმ-მა პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილება მიიღოს." ეს „მოკრძალებული მოწოდება, პოლიტპატიმარ" გიორგი რურუას ეკუთვნის. რომელიც დასავლელი „მეგობრების" ხელისუფლებაზე ზეწოლის შედეგად გათავისუფლდა. მართალია მთავარის ეთერის საშუალებით გვამცნო, რომ იგი ხელისუფლებაზე განაწყენებული არ არის და არც პოლიტიკა აინტერესებს რადგან ფერმერობა უფრო იზიდავს, მაგრამ „თბილისს მისი ცრემლების არ სჯერა"... 2012 წელს ლევან ბერძენიშვილი სააკაშვილის გარემოცვას ასე აფასებდა – ცნობისთვის, თავის დროზე, თავზეხელაღებული „მხედრიონელი" ნიკა რურუა მკვლელობებს გეგმავდა და ეს კაცი კულტურის მინისტრად რომ გეყოლება, საერთოდ რაზე უნდა ვილაპარაკოთ? მკვლელია ნიკა რურუას ძმა და მთელი მისი სამეგობრო. ის ვინმესკენ როგორ იშვერს თითს?

სააკაშვილმა, რომელიც ამბობდა, „ზარალასა" და „ტილიკას" მეგობარი არ დავინახო ხელისუფლებაშიო, რურუა მინისტრად დანიშნა. ამასთან, ვისაც ზემოხსენებული ბოროტმოქმედები „ზარალა" და „ტილიკა" ძარცვავდნენ, ახლაც დაჩაგრულები არიან და მისი გუნდის წევრები ჩაგრავენ. გარშემო მკვლელები და ბანდიტები ახვევიათ ამ საცოდავებს... „დიახ, ნაცმოძრაობის ოხლოკრატიას, უგუნური, ხარბი, მკვლელები, ბანდიტები მართავდნენ და ეხლაც უტიფრად ცდილობენ „ძველი დიდების" დაბრუნებას. გასულ წელს, პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავა წერილში რომლის ადრესატები ევროპარლამენტარები გახლდნენ, საუბრობდა 90-იან წლებში მომხდარ სხვადასხვა გახმაურებულ დანაშაულზე და მათში გიორგი რურუას მონაწილეობაზე მიუთითებდა: და მაინც ვინ არის გიორგი რურუა? რატომ ცდილობს რადიკალური ოპოზიცია მისი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას და რატომ დაიჟინეს მისი გათავისუფლება ყალბი პრეტექსტით, როგორც საკონსტიტუციო შესწორებების მხარდაჭერის წინაპირობა?

გიორგი რურუა ნიკა რურუას, სააკაშვილის მთავრობის ყოფილი მაღალჩინოსნის ძმაა, რომელიც ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. ორივე 90-იან წლებში მოქმედი გასამხედროებული დაჯგუფების „მხედრიონის" აქტიური წევრები იყვნენ და ახლო კავშირები ჰქონდათ მაშინდელ ხელისუფლებასთან. დაჯგუფების დაშლის შემდეგ გიორგი რურუამ ბიზნეს-სექტორში გადაინაცვლა და თავისი ძმის საპარლამენტო და სამთავრობო პოზიციის წყალობით ახლო კავშირები დაამყარა სააკაშვილის მთავრობასთან. ის არის კრიმინალი, რომელიც ცნობილია ისეთი საზარელი დანაშაულებისთვის, როგორიცაა გატაცებები და მკვლელობები, რომელიც ჩადენილია 90-იან წლებში, პოსტსაბჭოთა პირველ წლებში. ის არის „ბოროტების საძმოს" დამფუძნებელი და ლიდერი (ასევე ცნობილი, როგორც ვერის საძმო) – ეს კრიმინალური დაჯგუფებაა, რომელიც 1992 წელს თორაძეების ოჯახის 7 წევრის მკვლელობაში და 1993 წელს ზაზა ვეფხვაძისა და მისი ძმიშვილის მკვლელობაში მონაწილეობდა...




ყალბი იდენტობა და **INTERPOL**-ის წითელი ცირკულარით ძებნა – 2000 წლის 14 მაისს საქართველოში ინტერპოლის ბიურომ აშშ-სგან მიიღო შეტყობინება საქართველოს მოქალაქის, დავით კურცხალიას დაპატიმრების შესახებ. ის საიმიგრაციო კანონის დარღვევისთვის დააპატიმრეს. ადამიანი, რომელიც ფლობდა ქართულ პასპორტს, მოგვიანებით იდენტიფიცირდა, როგორც გიორგი რურუა, რომელსაც ინტერპოლი წითელი ცირკულარით ეძებდა ფულის გამოძალვის გამო. 2000 წლის 26 ივნისს ის აშშ-დან საქართველოში შემდგომი სამართლებრივი გამოძიებისთვის დაადეპორტეს. გატაცების, გამოძალვისა და მკვლელობის დანაშაული – რურუა 1993-1994 წლებში ჩადენილი არაერთი საზარელი დანაშაულისთვის იყო ბრალდებული, რაც შემდგომი გამოძიების საგანი გახდა აშშ-დან მისი დეპორტაციის შემდეგ.

ბრალდებები რურუას წინააღმდეგ მოიცავს ადამიანების გატაცებას, მათ შორის, 1993 წელს თორნიკე აფაქიძის პარლამენტის შენობიდან გატაცებასა და მისი სიცოცხლის სანაცვლოდ 300 000-დოლარიანი გამოსასყიდის მოთხოვნას; 1994 წელს ალექსანდრე ბალიაშვილის საავადმყოფოს საწოლში მოკვლას; თბილისის ქუჩებში ბესიკ მარუაშვილის, ზურაბ მარუაშვილისა და გელა ქაფიაშვილის მოკვლას. ყველა ეს საქმე დოკუმენტურად დასტურდება და მტკიცებულებები სამართალდამცველი ორგანოების არქივებში ინახება.

გამოძიებები შეწყვიტა და აღარ განუახლებია სააკაშვილის მთავრობას, ვისი მფარველობის ქვეშაც რურუა ხელშეუხებელი გახდა და დიდწილად, ასეც დარჩა..." – წერს კახა კუჭავა.

მიუხედავად იმისა, რომ რურუას კრიმინალური წარსული აქტიურად განიხილებოდა სოციალურ ქსელში თუ მედიაში ნაცავაზაკები უტიფრად ცდილობდნენ მის დაცვას. „მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინ ხარ შენ"და ნაცების თქმის გარეშეც იცის საზოგადოებამ, რომ ისინი სწორედ კოლექტიური რურუები არიან. გვამებზე მოცეკვავე, სისხლით ნაკვები, ქვეყნის დამქცევი და ერის მოძულე გარეწრები. გიორგი რურუა, რომელიც ციხეში თურმე წიგნებს კითხულობდა, მაგრამ განათლების დაბალი დონის დამალვას საჯარო გამოსვლებში მაინც ვერ ახერხებს, სოციალური ქსელის საშუალებით „სამადლობელი" გამოაქვეყნა, – „უახლესი ისტორიდაან რეიგანი-გორბაჩოვის შეთანხმება მახსნდება, როდესაც საბჭოთა კავშირის ბანაკებიდან 100 პოლიტპატიმარი გაათავისუფლეს.

დიდი მადლობა ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში, ბატონ კარლ ჰარცელს. ასეთი სახის უპრეცენდენტო დახმარება არ მახსენდება. ნიკა მელია, გელოდებით". დიახ, რურუა სხვა უბედურებასთან ერთად ზეამბიციურიც ყოფილა რადგან ბედავს და იმ ას პოლიტიკურ პატიმარს ედრება რომლებსაც მართლაც ჰქონდათ ამბიცია ქვეყნისთვის სასარგებლო პოლიტიკური ამინდი შეექმნათ... „ბოროტების" საძმოს და მხედრიონის რეანიმაცია სააკაშვილმა წარმატებით განახორციელა და სარგებელიც ბევრი ნახა. ნაცმოძრაობა და მათი ბელადი რურუებისგან,არც სხვა ავაზაკებისგან დიდად არ განსხვავდებიან, მაგრამ მათმა დასავლელმა „თანამეგობრობამ" რურუას გათავისუფლებაში დიდი წვლილის შეტანის გამო, საზოგადოების დიდი ნაწილის, გულისწყრომა გამოიწვია. სავარაუდოდ, საზოგადოების აზრი ევროპული საბჭოს პრეზიდენტს, შარლ მიშელს ნაკლებად აინტერესებდა მისთვის მთავარი იყო ნებისმიერ ფასად, თუნდაც მკვლელის და ავაზაკის თავისუფლების სანაცვლოდ ოპოზიციის ნაწილსა და ხელისუფლებას შორის შეთანხმება გაფორმებულიყო, რის საფუძველზეც ოპოზიციონერთა ნაწილი პარლამენტში შევიდოდა.

გასულ წელს, გიორგი რურუას გათავისუფლებას ითხოვდა „ევროპის სახალხო პარტიის" თავმჯდომარე, დონალდ ტუსკი. „ევროპის სახალხო პარტია" მიესალმება 8 მარტის შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და ოპოზიციას შორის, როგორც მნიშვნელოვან ნაბიჯს დაძაბულობის შესამცირებლად. შეშფოთებული ვრჩებით, რომ გიორგი რურუა კვლავ ციხეშია. მოვუწოდებთ შეთანხმების სრული იმპლემენტაციისა და გიორგი რურუას გათავისუფლებისკენ". ასევე აღშფოთებულები გახლდნენ სენატორები, რესპუბლიკელი ჯეიმს რიში და დემოკრატი ჯინ შაჰინი: „ველით ასევე მედიასაშუალების მფლობელის, გიორგი რურუას გათავისუფლებას, რომელიც დეკემბერში ცრუ ბრალდებებით დააკავეს", გიორგი რურუას სახელი და გვარი ევროპარლამენტის ტრიბუნიდანაც გაისმა. საგარეო საქმეთა კომიტეტში საქართველოსთან დაკავშირებული ანგარიშის განხილვისას, კომიტეტის თავმჯდომარემ, დევიდ მაკალისტერმა პირდაპირ თქვა – „პოლიტპატიმარი გიორგი რურუა ჯერ ისევ ელოდება გათავისუფლებას" და რომ ამ საქმესთან დაკავშირებით უნდა იაქტიუროს ევროკავშირის წარმომადგენლობამ საქართველოში. გიორგი რურუა ახსენა პოლონელმა ევროპარლამენტარმა, ანა ფოტიგამ – „პოსტსაბჭოთა სივრცესა და საბჭოთა ეპოქაში ოპოზიციაში ყოფნის მთელ ჩემს გამოცდილებაზე დაყრდნობით, ვხედავ, რომ მის წინააღმდეგ ბრალდებები ყალბად გამოიყურება და ისინი უნდა გაუქმდეს".

შეშფოთებული გახლდათ ევროპარლამენტარი ანდრიუს კუბილიუსიც. კუბილიუსმა დაწერა, რომ პომპეოს გაფრთხილების მიუხედავად, საქართველოში სასამართლოს პოლიტიზაცია გრძელდება. ევროპარლამენტარმა ანა ფოტიგამ კი ზურაბიშვილს მოუწოდა, გამოეყენებინა უფლებამოსილება, როგორც სხვა შემთხვევებში. თუმცა, მაშინ დასავლელი პარტნიორებისა და ოპოზიციის მოწოდების მიუხედავად, სალომე ზურაბიშვილმა გიორგი რურუაზე თქვა – „ამ პიროვნებას არ შევიწყალებ." მაგრამ დიდი ზეწოლის შედეგად, შეიწყალა. საზოგადოებამ ნათლად დაინახა, რომ ხელისუფლების წინააღმდეგობის მიუხედავად საერთაშორისო „თანამეგობრობამ"ცივსისხლიანი მკვლელი, ავაზაკი და რუსეთის სპეცსამსახურების დავალებების უბადლო შემსრულებლის გასათავისუფლებლად, ყველა ღონე იხმარა და მიზანს მიაღწია. სავარაუდოდ მათი მიზანი ისიც გახლდათ საზოგადოება დარწმუნებულიყო, რომ ჩვენ ქვეყანას არც სუვერენიტეტი გააჩნია, არც კონსტიტუცია და აღარც ღირსება...

რურუა ავაზაკ „თანამებრძოლებთან" ერთად, ჟანგმოკიდებული, ჩამოწერილი მძიმე ტექნიკაა, რომელსაც დასავლელი „მეგობრები" საფრთხობელად იყენებენ, მაგრამ მათ უკან ახალგაზრდა ლეშიჭამია ტურების ხროვა დგას. ჩვენ უნდა შევძლოთ მათი მხილება და განეიტრალება რათა ჩვენს მომავალს ავაცილოთ ოთხმოცდაათიანი და ვარდოსნების სისხლიანი რეჟიმის გამეორების მცდელობა...

**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

# ნაცმოძრაობა – გლობალისტების დესანტი საქართველოში

## გლობალისტების ახალი ბრენდი — ფალსიფიცირებული ქართველი, რომელიც ყველაა და არავინ არ არის



**ვახტანგ ხარჩილავა:**

**„ნაცმოძრაობას“ უამრავი შემზარავი დანაშაული აქვს ჩადენილი, მაგრამ მას ჩადენილი აქვს ამ დანაშაულებზე უფრო უარესი დანაშაული — ეს არის ერის სულიერი ფასეულობების და ღირებულებების გადაკეთების მცდელობა, იმ საფუძვლის და საძირკვლის მოშლა და იავარქმნა, რაზეც დგას ერი, მისი იდენტობა, მისი თავისთავადობა, მისი განუმეორებელი სახე, ხასიათი ბუნება.**

**სწორედ ამაზეა ეს წერილი, რომელიც „ნაცმოძრაობის“ ზეობის დროს, 2006 წელს გამოქვეყნდა, თუმცა მას შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა და, ამდენად, ეს წერილი დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას.**

საქართველომ ჯერ კიდევ ვერ დაარქვა თავისი ნამდვილი სახელი იმ უბედურებას, რაც მას თავს დაატყდა...

საქართველომ ჯერ კიდევ ვერ გაიგო ამ უბედურების სახელი, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში მილიონობით ადამიანი სისტემატურად მართავს ამ უბედურების წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო დემონსტრაციებს და მანიფესტაციებს.

საქართველომდე აღშფოთებული მილიონების ხმა მაინც ვერ აღწევს.

საქართველო თითქოს დაყრუვდა და დაბრმავდა.

ამასობაში მილიონობით ადამიანს მილიონები ემატება — მსოფლიო განგაშს ტეხს, მსოფლიო ხმას იმაღლებს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული იმ შეთქმულების აღსაკვეთად, რომელსაც ლამაზი სიტყვა გლობალიზაცია ჰქვია და რომელიც სხვა არაფერია, თუ არა საერთაშორისო მასშტაბის არამზადების ამბოხება ღმერთის დასამხობად და დედამიწაზე თავისი ანტიადამიანური წესრიგის დასამყარებლად.

●

მე ქართული სახელმწიფოს ღალატში ბრალს ვდებ ქართულ ტელეარხებს, ქართულ პრესას, ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომლებიც არ ამბობენ მთავარ სათქმელს და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ უბედურების ძირი და სათავე მიიჩქმალოს.

მე ღალატში ვდებ ბრალს ყველას, ვინც იცის და მალავს, ვინც იცის და დუმს, ვინც იცის და არ ამბობს...

მიზეზი ამისა ერთია: ისინიც იმავე ჯიბიდან ელიან წყალობას, საიდანაც ნაცმოძრაობის ხელისუფლება დაფინანსდა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა გლობალისტების დესანტი, გლობალისტების სადამსჯელო რაზმი, მათი საგადასახადო ინსპექცია.

მზადყოფნა ღალატისათვის, მზადყოფნა ჩანაცვლებისათვის — ასე იშიფრება ქართული პოლიტიკური სპექტრის ფარისევლური ვიშვიში და მოჩვენებითი პროტესტი.

●

საქართველო ის ქვეყანაა, სადაც რვა საუკუნის წინათ დაიწერა:



**„რომელმან შექმნა სამყარო**
**ძალითა მით ძლიერითა,**
**ზეგარდმო არსნი სულითა**
**ყვნა ზეცით მონაბერითა,**
**ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა,**
**გვაქვს უთვალავი ფერითა,**
**მისგან არს ყოვლი ხელმწიფე,**
**სახითა მის მიერითა“.**

ამასწინათ ერთ-ერთ ტელეარხზე „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო გაიმართა საუბარი.

„ვეფხისტყაოსანი“ გლობალისტური ხასიათის ერთ-ერთი ნაწარმოებია, ნახეთ, რა სივრცეებზე იშლება მოქმედებაო, — ბრძანა ერთმა „გლობალისტმა“ ფსიქოლოგ-პოლიტიკოსმა.

ცდებით, თქვენ, პატივცემულო, „ვეფხისტყაოსანი“ სწორედ რომ ანტოგლობალოსტური ნაწარმოებია და არა გლობალისტური.

სამყაროს შემოქმედმა ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა უთვალავი ფერით, არა ერთი ფერით, არამედ უთვალავი ფერითო, — ნათქვამია ამ პოემაში.

აი, ამ უთვალავი ფერის ერთ ფერში გადაღებვა სურთ გლობალისტებს, მეოცე-ოცდამეერთე საუკუნის მოდერნიზებულ ქაჯებს. ყველა ფერის ერთ ფერში გადაღებვა სურთ და მოღალატე „მალიარებსაც“ უხვად პოულობენ.

●

კაცობრიობის ისტორია მსოფლიოზე ბატონობის ჟინით შეპყრობილი მანიაკების მიერ დაღვრილი სისხლითაა გაჟღენთილი და გაჯერებული.

გლობალისტები ამ მანიაკების პირდაპირი შთამომავლები არიან, რომლებმაც ნაწილობრივ შეცვალეს მოქმედების მოძველებული მეთოდები, მაგრამ მიზანი და ამოცანა იგივეა, რაც მათ სულიერ წინაპრებს ჰქონდათ — ბატონობა მსოფლიოზე, კაცობრიობის დამონება, ღვთის მიერ შექმნილი მრავალფეროვნების წაშლა, დედამიწისა და მოსახლეობის ერთი წერტილიდან მართვა და ერთი მიზნისთვის დაქვემდებარება, ტოტალური კონტროლი ყველაზე და ყველაფერზე და, რაც მთავარია, დედამიწაზე არსებული მთელი სიმდიდრის მისაკუთრება.

გლობალისტების ძარღვებში ჩინგიზ ყაენების და თემურ ლენგების, ჰიტლერების და ლენინების სისხლი ჩქეფს — ისინი არაფრით განსხვავდებიან იმ მონსტრებისგან, ხოლო ცოდვა, რომელსაც ისინი ყოველდღე, ყოველწამს სჩადიან, ათასგზის უფრო დიდია და მასშტაბური.

გლობალიზმი მავანთ და მავანთ გასული საუკუნის „მონაპოვრად“ სურთ წარმოაჩინონ, რომლის განხორციელება ვითომდა ობიექტური მიზეზებითაა განპირობებული.

სიცრუეა ეს! გლობალისტური იდეები ისევე ძველია, როგორც ეს სამყარო, უბრალოდ,





სხვადასხვა პერიოდებში სხვადასხვა სახელი ერქვა და სხვაგვარად იყო შეფუთული.

გლობალიზმი იმ ხნისაა, რა ხნისაც არის ბრძოლა ღმერთსა და ეშმაკს შორის, სიკეთესა და ბოროტებას შორის, ზნეობასა და უზნეობას შორის.

გლობალიზმი სატანისტური იდეოლოგიაა, ამიტომაც არის იგი სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული ყველა ფუნდამენტურ რელიგიასთან, განსაკუთრებით, ისლამსა და ქრისტიანობასთან.

გლობალიზმი უღმერთოთა გაერთიანებაა, ღვთის მგმობელთა კორპორაცია...

გლობალიზმი თვითონ იქცა ახალ სექტად, რომელმაც თავის თავზე აიღო განგების ფუნქცია და მის ნაცვლად სცადა ახალი წესრიგის დამყარება, ახალი სამყაროს, ახალი ტიპის კაცობრიობის შექმნა, ისეთი ადამიანის გამოძერწვა, რომელიც არ არის მიჯაჭვული ეროვნულ ღირებულებებს.

ადამიანი-კოსმოპოლიტი, ადამიანი — სხვადასხვა ფასეულობათა ჯამი და ნაზავი, ადამიანი, რომელიც ყველაა და არავინ არ არის.

**ეროვნება ღმერთის ნიშანია, ღმერთის დამღაა და როცა ვინაც ცდილობს, მოშალოს ეს დამღა, ამით იგი შეურაცხყოფს ღვთის შემოქმედებას.**

ფალსიფიცირებული ადამიანი, რომელიც მხოლოდ გარეგნულად ჰგავს იმ არსებას, რომელიც ღმერთმა შექმნა ხატად და სახედ თვისად — აი, მთავარი ფიგურა გლობალისტური მსოფლიოსი.

●

...ეს წერილი იწერება იმ დროს, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს პოლიციის გამოყენებით ყრიან შენობიდან, უკეტავენ კარებს, შეურაცხყოფენ, აბუჩად იგდებენ და ეს ხდება ტელეკამერების წინ, მთელი ქვეყნის დასანახად.

ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, იცის, რომ ასეთი ბარბაროსული საქციელით აბუჩად იგდებს არა მარტო იმ პროფესორ-მასწავლებლებს, არამედ აბუჩად გვიგდებს ყველას, იმ პროფესორ-მასწავლებლების ყოფილ სტუდენტებს, საერთოდ ყველას, ვისაც ამ უნივერსიტეტში უსწავლია თუ არ უსწავლია.

ხელისუფლება ხაზგასმული ცინიზმით მიგვანიშნებს, რომ არარაობები ვართ, რადგან არ შეგვიძლია დავიცვათ ჩვენი მასწავლებლები, არ შეგვიძლია დავიცვათ მის მიერ ქუჩაში გამოყრილი ჩვენი მოხუცი მშობლები,



არ შეგვიძლია დავიცვათ ჩვენი ბავშვები და ქალები...

ხელისუფლება გვეუბნება, რომ ჩვენ დავმარცხდით, დამარცხებულებს კი ისე მოექცევა, როგორც მოეპრიანება და მას ამის გამო პასუხს არავინ მოსთხოვს.

იმ დროს, როცა პოლიციელებს ჯიკავ-ჯიკავით გაჰყავთ პროფესორები უნივერსიტეტიდან, ხელისუფლება გვარწმუნებს, რომ მალე გვექნება ადგილობრივი წარმოების ბევრი ჯემი, მურაბა, სხვადასხვა სახის კონსერვები, დაიგება გზები, აშენდება სახლები, თორმეტჯერ გაიზრდება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი და ა. შ.

ხელისუფლება ბედნიერია და მას მიაჩნია, რომ ბედნიერები უნდა ვიყოთ ჩვენც, როგორც ის პირუტყვი, რომელსაც ბაგაში თივისა და კონბინირებული საკვების დამატებითი ულუფა ჩაუყარეს.

**მიმხვედრი მიხვდება, რომ მიმდინარეობს ქართველთა ბიოლოგიურ არსებებად გარდაქმნის პროცესი, ჩამოპირუტყვების, ინსტინქტებს დამორჩილებულ ბიოორგანიზმად გარდასახვის პროცესი, რომლისთვისაც მთავარი იქნება მხოლოდ ჰქონდეს საკვები, შუქი, სამოსი, ჭერი თავზე, ყოველივე ამის სანაცვლოდ კი ის თანახმა იქნება, არ ჰქონდეს სამშობლო.**

ხელისუფლება ხშირად მიგვანიშნებს, რომ ჩვენ დროთა განმავლობაში სათქვლეფ-სალაფავი თავსაყრელად გვექნება, მაგრამ გვექნება თუ არა ქართველებით დასახლებული ქვეყანა, სახელად საქართველო, აი, ამის შესახებ არაფერს ამბობს. როგორც ჩანს, ეს არ შედის მის კომპეტენციაში.

ამას სხვები გადაწყვეტენ და რასაც სხვები გადაწყვეტენ, ეს ხელისუფლება იმას დაეთანხმება.

**გლობალისტების დესანტი, მათი ნების უსიტყვოდ შემსრულებელი ხელისუფლება ვერ ააშენებს ეროვნულ ღირებულებებზე ორიენტირებულ სახელმწიფოს.** მან შეიძლება ააშენოს ადამიანებისთვის განკუთვნილი კომფორტული ფერმა, სადაც იქნება მუდმივი შუქი, სითბო, წყალი, საკვები, მაგრამ არ იქნება უმთავრესი — აზრი და დანიშნულება ადამიანის არსებობისა.

●

ჩვენ, კომუნისტურ ეპოქაში ნაცხოვრებ ადამიანებს, აგრეთვე მათ, ვისაც რაღაც წაუკითხავს გასული საუკუნის 20–30-იანი



წლების ბოლშევიკური კომშარის შესახებ, ვირეშმაკა გლობალისტი-აფერისტები ვერ მოგვატყუებენ.

მათ შეიძლება მოატყუონ თინეიჯერები, მაგრამ ჩვენ ვერ მოგვატყუებენ, რადგან ერთხელ უკვე ვიცხოვრეთ გლობალისტურ იდეოლოგიაზე აგებულ გულაგში და საკუთარ თავზე ვიწვნიეთ მისი საშინელებანი. ოცი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა მაშინ გლობალისტების უშუალო წინაპრების — კომუნისტების შიზოფრენიულ იდეებს და მთელ მსოფლიოში „პროლეტარიატის დიქტატურის“(!) დამყარების მცდელობას.

კომუნისტებმა იოლად გადაჭრეს პრობლემა და პირდაპირ განაცხადეს, რომ ღმერთი არ არსებობს, ხოლო იქ, სადაც არ არსებობს ღმერთი, არ არსებობს ადამიანიც, რომელიც ღმერთმა შექმნა ხატად და სახედ თვისა.

გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში აკადემიკოსი ლისენკო იტყვის: „მე არ დავბადებულვარ ადამიანად, მე ადამიანად პარტიამ შემქმნა“ (კომუნისტებზე როცა ვლაპარაკობ, მკითხველს ვთხოვ, ნუ გააიგივებს კომუნისტებთან სტალინის სახელს, სტალინი განსაკუთრებული ფენომენია, რომელიც, მიხვდა რა კომუნისტური იდეოლოგიის აბსურდულობას და მის ანტისაკაცობრიო არსს, პირწმინდა გაანადგურა ამ იდეოლოგიის სიონისტური ფრთა მამათმავალი ტროცკის მეთაურობით და კომუნიზმის ნაცვლად სრულიად ახალი ფორმაციის მშენებლობა დაიწყო).

ოცდაათიან წლებშიც ასე იყო: პარტიული ამხანაგისთვის სექსუალურ კავშირზე უარის თქმა დიდ ცოდვად, ლამის



პარტიის ღალატად ითვლებოდა.

ოცდაათიანი წლების კომკავშირელ-აქტივისტებიც საერთო საბნის ქვეშ მიერეკებოდნენ ახალგაზრდებს...

**რაც საქართველოში ხდება, ეს პროგრესისკენ მიმართული რეფორმა კი არა, რეგრესზე ორიენტირებული დეფორმირების მცდელობაა — გონის, ხასიათის, ეროვნული თვითმყოფადობის, რელიგიური**



**რწმენის, ადათის, ტრადიციის დეფორმირების მცდელობაა ახალი ტიპის ფალსიფიცირებული ქართველის შექმნის მიზნით.**

ვინ ამ განაჩენს არ შეეპუება, მას ძალის გამოყენებით დაიმორჩილებენ ან გაანადგურებენ! — ასეთია ხელისუფალთა მტკიცე გადაწყვეტილება.

ამიტომაც მოეჩვენათ ქართველ პროფესორ-მასწავლებლებს იაგოდასა და ეჟოვის ლანდები ერთ-ერთ შეხვედრაზე.

არა, მათ არაფერი მოსჩვენებიათ — იაგოდაც აქ არის, ეჟოვიც, თვით ლენინიც აქაა და ათაშანგით გახელებული ჯიუტად ჩაჰკირკიტებს სიონის ბრძენთა ოქმებს — კომუნისტების, ინტერნაციონალისტების უკვდავ სახელმძღვანელოს.



ლენინი, რომელსაც მილიარდები უშოვნია უბედური პროლეტარიატის ექსპლუატაციის ხარჯზე; ლენინი, მრავალ ეგზემპლარად კლონირებული, აქ უკვე გლობალისტად მონათლული. ლენინი კვლავ ჩვენთანაა და თავისი ერთგული მოწაფეების პირით მოკითხვას გვითვლის ვაშინგტონიდან, პარიზიდან, ნიუ-იორკიდან, თელ-ავივიდან, რომიდან, ამსტერდამიდან, კოპენჰაგენიდან და, რა თქმა უნდა, „თავისუფლების ინსტიტუტის“ სათაო ოფისიდან, რომელსაც ამხანაგები ლევან ლენინოვიჩი (რამიშვილი) და თეა ლენინოვნა (თუთბერიძე) ხელმძღვანელობენ.

●

ჩვენ უნდა გავხდეთ კონკურენტუნარიანი ერი! — ხშირად გაიგონებთ ამ ფრაზას ხელისუფლების წარმომადგენლებისგან.

მათ არ იციან, რომ კონკურენტუნარიანად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის ერი, რომელიც თავის ეროვნულ სახეს და თავისთავადობას ინარჩუნებს სხვა ერებთან კონკურენციაში.

სხვად გარდასახვა, სხვის სახეში შესვლა, სხვისი კალკირება, სხვისი ბაძვა უკვე დამცირებაა.

რატომ მხოლოდ ღვინო, ადამიანიც შეიძლება იყოს ფალსიფიცირებული, ფალსიფიცირებული ღვინო ხომ ცუდია, მაგრამ ფალსიფიცირებული ადამიანი



ასგზის უფრო ცუდია, ფალსიფიცირებული ქართველი კი ათასგზის უფრო ცუდი.

**გლობალისტების მარნებში ახალი ბრენდის, ფალსიფიცირებული ქართველის ჩამოსხმას აპირებენ...**

2006 წ.

# ლოკალური ომი, რომელიც შეიძლება მსოფლიო ომში გადაიზარდოს

## თუ ასე გაგრძელდა, ფრანგი ერი გადაშენდება. ხოლო საფრანგეთი, როგორც სახელმწიფო, გაქრება



ახლო აღმოსავლეთში, ღაზას სექტორში მცხოვრებ პალესტინელებსა და ებრაელთა შორის შეიარაღებულ დაპირისპირებას პოლიტოლოგები სამოქალაქო ომად აფასებენ. ადვილი შესაძლებელია, სამოქალაქო ომი მსოფლიოს თუ არა, რეგიონის ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდოს. სამწუხაროდ, ამისთვის ბევრი წინაპირობა არსებობს. სხვადასხვა კონფლიქტები ებრაელ და არაბ მოსახლეობას შორის ადრეც მომხდარა, მაგრამ რაც ახლა ხდება, წლებია, არ ყოფილა.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ კონფლიქტის დაწყებისთანავე გააფრთხილა რადიკალები: „...არავის მივცემთ უფლებას, ხელყოს ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი. ვინც ამას გააკეთებს, ძვირი ფასის გადახდა მოუწევს“. ისრაელის არმია, თავისთავად, სათანადოდ პასუხობს ჰამასის შეტევებს. ქვეყანაში განხორციელდა რეზერვისტების მობილიზაცია, მოქმედებს ავიაცია. სამწუხაროდ, ორივე მხარეს არის მსხვერპლი, იღუპებიან ბავშვები... ღაზას სექტორში საავადმყოფოები გადატვირთულია, ამიტომ ეგვიპტემ გახსნა საზღვარი და დაშავებულები იქ გადაჰყავთ.



კონფლიქტის ზონაში, ღაზას სექტორში ქვეითი ჯარის შეყვანისგან ისრაელი ჯერ თავს იკავებს, რადგან შეიძლება ეს გარემოება რეგიონში ფართომასშტაბიანი ომის დაწყების მიზეზი გახდეს. სწორედ ჯარების შესვლას ელოდებიან ისრაელის მოწინააღმდეგე ქვეყნები, რომლებიც რეგიონში ბევრია.

როგორი ურთიერთდამოკიდებულება აქვთ ირანსა და ისრაელს საყოველთაოდ ცნობილია. ობიეტურობიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ ახლანდელი კონფლიქტის დაწყების დღიდან ირანი დუმილის (სავარაუდოდ, იმის მოლოდინშია, როგორ განვითარდება მოვლენები) რეჟიმშია. სამაგიეროდ, თურქეთი მზად არის, თავისი ქვეყნის ჯარი იერუსალიმში შეიყვანოს პალესტინელების დასახმარებლად. ამასვე მოუწოდებს სხვა არაბულ ქვეყნებსაც. „...ჩვენ თვალს არ დავხუჭავთ ისრაელის, ტერორისტული ქვეყნის ქმედებებზე“, — თქვა ერდოღანმა კონფლიქტის დასაწყისში. მსგავსი მკვეთრი განაცხადი არც ერთი ისლამური ქვეყნის ლიდერას არ გაუკეთებია.

აქ უნდა გავიხსენოთ შარშანდელი მოვლენები. თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა იერუსალიმი თავისი ქვეყნის ქალაქად დაასახელა და მის შეერთებაზე პრეტენზიაც გამოთქვა. ისრაელის ხელისუფლება ამ განცხადებამ საკმაოდ გააღიზიანა და მკვახე პასუხიც გასცეს. შარშან შემოდგომაზე ისრაელელმა სამხედრო ექსპერტმა იაკობ კედმიმ გაასაჯაროვა თავისი ქვეყნის დაზვერვის დასკვნა, სადაც ნათქვამია, რომ „...ისრაელის სახელმწიფოებრიობისთვის თურქეთი გაცილებით დიდ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე ირანი“.

პოლიტოლოგებისთვის გაუგებარია თურქეთ-ისრაელის მომავალი. ორივე ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირედ ითვლება. თურქეთი, როგორც ნატოს წევრი, ისრაელი (ყოველ შემთხვევაში, დღემდე) მუდამ აშშ-ის მფარველობის ქვეშ იყო და ახლო აღმოსავლეთში მთავარ მოკავშირედ მოიაზრებოდა. თუმცა, ახლანდელი კონფლიქტის დაწყების შემდეგ ვითარება იცვლება. გავრცელებული ინფორმაციით, ნეთანიაჰუმ დახმარება სთხოვა აშშ-ის პრეზიდენტს ჯო ბაიდენს. ბაიდენის პასუხი ცივი და ორაზროვანი გახლდათ: „...იმედია, კონფლიქტი დამთავრდება. უმჯობესია, მალე დამთავრდეს, ვიდრე გვიან“. სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმაც ნეიტრალური პოზიცია დაიკავა: „...აუცილებელია, ორივე მხარემ მიაღწიოს შეთანხმებას“. ექსპერტები მკითხაობენ, ხომ არ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს სამხედრო ძალებით აშშ-ის მოკავშირე ქვეყნები.

სამხედრო ანალიტიკოსებისთვის გაუგებარია, როგორ მოხვდა ღაზას სექტორში ასეთი დიდი რაოდენობით რაკეტები. მათთვის ასევე გაუგებარია, ისრაელის დაზვერვას გამოეპარა თუ ხელისუფლებამ არ მიაქცია ყურადღება დაზვერვის ინფორმაციას. ფაქტია, რომ ღაზას სექტორში რაკეტების კიდევ ორი თვის მარაგი გააჩნიათ.

რეგიონში ვითარებას ართულებს ებრაელი და არაბი მოსახლეობის ურთიერთდაპირისპირება. მართალია, ერთეული შემთხვევებია, მაგრამ აქამდე მსგავსი ფაქტები არ ყოფილა. შურისძიებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა მოსახლეობას ნეთანიაჰუმ და დამნაშავეებს მკაცრი სასჯელით დაემუქრა. პალესტინის ლიდერი მაჰმუდ აბასი ისრაელს წყევლა-კრულვას არ აკლებს, მაგრამ დამნაშავეების დაპატიმრების სანცქიები მაინც გასცა. ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში იმართება პალესტინელების მხარდამჭერი აქციები, სადაც ისრაელს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდებენ. აქციებში, ძირითადად, არაბული ქვეყნებიდან ჩასული მიგრანტები მონაწილეობენ, რომლებიც გათამამდნენ აშშ-ში „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანია“-ს გაძლიერებით.

საგანგებო სხდომა გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში, სადაც მხარეებს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდეს. თუმცა, რეგიონში მშვიდობის დამყარებამდე ჯერ კიდევ შორია. ისრაელის ავიაცია კვლავ ახორციელებს წერტილოვან შეტევებს. ღაზას სექტორში ჰამასის ლიდერი ისმაილ ხანია ცდილობს კონფლიქტში პალესტინის ჩათრევას. პოლიტოლოგების განცხადებით, ისრაელს გაცილებით უადვილდებოდა პალესტინასთან მოლაპარაკება, ვიდრე ღაზას სექტორის ლიდერებთან. მათივე შეფასებით, როგორც არ უნდა დასრულდეს კონფლიქტი, ისრაელ-პალესტინას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა უკვე გაფუჭებულია. ამასობაში კი რეგიონში ბრძოლები გრძელდება და როდის დასრულდება, უცნობია.

ახლო აღმოსავლეთის გარდა ვითარება ევროპაში, კერძოდ, საფრანგეთშიც იძაბება. მართალია, ჯერ შეუმჩნევლად, მაგრამ ქვეყანაში სახიფათო სიტუაციაა შექმნილი. აპრილის მიწურულს საფრანგეთის არმიის თადარიგის მაღალჩინოსანმა ოფიცრებმა და გენერლებმა ღია წერილით მიმართეს ქვეყნის პრეზიდენტს და ხელისუფლების პირებს. ვეტერანები მთავრობას მოუწოდებდნენ, მიიღონ ზომები ქვეყნის გადასარჩენად, რომელიც დაღუპვის პირას არის მისული. თადარიგის სამხედროებს ხელისუფლებამ კრიტიკით უპასუხა. ერთი კვირის შემდეგ თითქმის იგივე პათოსის წერილით უკვე მოქმედმა სამხედროებმა მიმართეს ქვეყნის პირველ პირს და მთავრობას. პასუხად ხელისუფლებამ მათ სამსახურიდან წასვლისკენ მოუწოდა. გასულ კვირას სამხედროებს მოქმედმა პოლიციელებმაც აუბეს მხარი.

ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები შეშფოთებული არიან საფრანგეთის ქალაქებში შექმნილი განუკითხაობით. მათი განცადებით: „...საფრანგეთი და ფრანგი მოსახლეობა გადაშენების ზღვარზეა... თუ ასე გაგრძელდა, ერი გადაშენდება. ხოლო საფრანგეთი, როგორც სახელმწიფო, გაქრება“. მიმომხილველების განცხადებით, ქვეყანაში სრული განუკითხაობა სუფევს. ძალაუფლება, ფაქტობრივად, ნარკომოვაჭრეების და რადიკალი ისლამისტების ხელშია. მიგრანტები თავს საფრანგეთის ბატონ-პატრონებად მიიჩნევენ. პოლიციელის მოკვლა ქვეყანაში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. თავად სამართალდამცავები სრულიად უუფლებოები არიან. დაკავებულ დამნაშავეს მავანთა მითითებით უმალ უშვებენ. არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა ფინანსურად მჭიდროდ არის დაკავშირებული რადიკალურ ისლამისტებთან, ნარკომოვაჭრეებთან და ლობირებენ მიგრანტების მიღებას. ექსპერტების შეფასებით, საფრანგეთი სამოქალაქო ომის ზღვარზეა, არც სამხედრო გადატრიალებას გამორიცხავენ. პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი დუმს... პოლიტოლოგები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საფრანგეთში შექმნილი ვითარება მოძრაობა„შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანია“-ს გამოძახილია. ამერიკული პრესიის ინფორმაციით, აშშ-ის მაღალი ჩინის სამხედროებიც კულუარებში იგივე პრობლემებზე საუბრობენ, მაგრამ ჯერ ხმამაღლა საჯარო განცხადებებისგან თავს იკავებენ.

მსოფლიოს პოლიტოლოგების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, შედგება თუ არა შეხვედრა აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის. გასულ კვირას ორივე ქვეყნის დიპლომატიურმა უწყებებმა გაავრცელეს სასიამოვნო ინფორმაცია — ოფიციალურად დაიწყო სამიტისთვის სამზადისი.



ერთ თვეზე მეტ ხანს იმყოფებოდა რუსეთის დედაქალაქში ვეტერანი დიპლომატი, „ცივი ომის“ დასრულების ერთ-ერთი შემოქმედი, პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ყოფილი მრჩეველი ქალბატონი სიუზან მასსი. აშშ-ში მას „ამერიკის დიდი პოლიტიკის ბებიად“ მოიხსენიებენ. სწორედ ამ ვეტერანი დიპლომატის დამსახურებაა რეიგან-გორბაჩოვის პირისპირ შეხვედრა. ახლა რას ემსახურებოდა მისი მოსკოვში ჩასვლა, რა თქმა უნდა, არ უთქვამს. თუმცა, ბაიდენის კრიტიკა არ დაიშურა და განაცხადა, „სუსტი პრეზიდენტიაო“. მისივე თქმით: „...დღეს მსოფლიოში უაღრესად სახიფათო პერიოდია“. ვნახოთ, განიმუხტება თუ არა ვეტერანი დიპლომატის ვიზიტით მსოფლიოში არსებული მწვავე ვითარება. ერთი საინტერესო სვლაც გააკეთა ქალბატონმა სიუზანმა — მან საჯაროდ გამოთქვა რუსეთის მოქალაქეობის მიღების სურვილი. რა ვიცით, რას გაუგებს ადამიანი ასეთ გამოცდილ დიპლომატს.

გია ბურდული
551 71 27 07

# ოხ, მე ამათი!

## პოლიტიკური ნოველა



— სალამ ალეიქუმი, მამავ ბატონო! — მიესალმა თავის დაკვრითა და ხელის გაქნევა-გამოქნევით ნიკანორი ანზორს, ანუ თავის მამას.

— სალამ ალეიქუმი, ჩემო გმირო შვილო, მაგრამ რათ მესალმები ეგრე უცნაურად გადამთიელის ენაზედ? — შეცბუნდა უცებ ანზორი.

— არ გეუცნაუროს, მამავ ბატონო, ეხლა ეგრეა საჭირო, მთელ ევროპას უნდა მოვდო ახალი ამბავი, ეგეთი ტაქტიკა ავირჩიე. განა ქართულად გამარჯობის თქმა დამავიწყდა? მაგას ვერ ეღირსება ბიძინა ივანიშვილი, ვერა! — გადაატრიალა თვალები ნიკანორმა აღმოსავლურ ყაიდაზედ.

— ნეტავ რა ჩაგიდვია შენს მრავალწახნაგოვან პოლიტიკურ უზურში, ჩემო დიდებავ? — აიჩეჩა მხრები ანზორმა და ბროწეულის კუკრუჯანი გადააწოდა ნიკანორს.

— ჯერ ერთი, მამავ ბატონო, მე უნდა დავამტკიცო, რომ გარეჯი საქართველო არ არი, სწორედ ამიტომაც მივესალმები ამიერიდან ყველას მუსლიმანურ ყაიდაზედ.



ეს იქნება პროტესტის ერთგვარი ფორმა. შემდეგ უნდა დავამტკიცო, რომ არც აფხაზეთია საქართველო და არც სამაჩაბლო. მეტიც, მე აუცილებლად შთავაგონებ კაცობრიობას, რომ მაწონი კი არის თეთრი, მაგრამ ყოველთვის არ არის თეთრი, პერიოდულად შავია!

— ჰო, შავია, მა რააა... იმ დღესაც აუობდა დედშენსა, თლა გაშავებულიყო. ვერ ისწავლა ამ ქალმა ზომა-წონა და ვადა! — გამოთქვა უკმაყოფილობა ანზორმა.

— აი, მამავ ბატონო, სწორედ ეგ არ იციან „ქოცებმა“, ბიძინა ივანიშვილი ჩასძახებთ ხოლმე, მაწონი თეთრიაო და ეგენიც ამოსძახებენ: ჰოოო, მამავ და მარჩენალო, თეთრია, მა რააა!

— ერთი რა მაგის პასუხია და... მამაზე და მარჩენალზე გამახსენდა, ჩემი ნაყიდი „მაზერატი“ მოგეწონა? იეფად ვიშოვნე, ეგეთები ორასი ათასები ღირს დოლარში, მე ასორმოცდაათში ვიყიდე. არა ბიჭო და ბიძინასავით მოსკოვს შევეკითხებოდი, აი!

— ეხლა „ქოცები“ დაიწყებენ, ესაო და ისაო, გამოვიდა ციხიდან და ეგრევე მაგარ მანქანაში ეცაო. მაგას უჭირსო? მაგასა სტკივა ხალხის გასაჭირივო? არაფერიცო!

— იიიჰ, რასაც ეგენი არ იტყვიან, ის გაგიკვირდეს! — ჩაიქნია ხელი ანზორმა.

— ისე, რაღა დაგიმალო, მამავ ბატონო და... ძაან კაია ციხის მტანჯველი დიქტატურიდან თავისუფლებაზე გამოსვლა, თანაც ევროკავშირის გირაოთი! — თქვა ამაყად ნიკანორმა.

ნიკანორი მდიდრულ სავარძელზე ნებიერად გადაწვა, თვალები მინაბა და მოგონებებში ჩაიძირა — გაახსენდა, როგორ სტანჯავდნენ ბადრაგები დილასაღამოს, როგორ უტრიალებდნენ „დუბინკებს“ ცხვირწინ და ემუქრებოდნენ, თუ არ აღიარებ, რომ მაწონი მუდამ თეთრია, ტრაკში გაგიკეთებთო. ნიკანორი მიხვდა, რაოდენ უსიამოვნო უნდა ყოფილიყო ტრაკში „დუბინკის“ გაკეთება, მაგრამ მაწვნის სითეთრე რომ ეღიარებინა, რა კაცობა იქნებოდა? კაცობას თავი დავანებოთ, ეს ხომ პოლიტიკური იდეალების ჩაფლავებას შეუწყობდა ხელსა და ევროპაც ხელს ჩაიქნევდა საქართველოზე?

— რამ ჩაგაფიქრა ასერიგად, ჩემო საამაყო ვაჟკაცო? — ჩახედა თვალებში ანზორმა.

— წარსულმა წარმიტაცა, მამავ ბატონო.

— მძიმე წარსულმა, ხომ?

— რა თქმა უნდა, მე ხომ სულ მძიმე წარსული მქონდა? მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, მესამე მსოფლიო ომით დამთავრებული, ყველაფერმა ამ ჩემ ქაჩალ თავზე გადაიარა. ბოლო-ბოლო, რა ყისმათზე გამაჩინე, მამავ ბატონო?! — აღტყინდა უცებ ნიკანორი.

— იყურე, შვილო, რაც შენ ქაჩალ თავზე დატრიალდა, ეგ მხოლოდ რჩეულთა ხვედრია... აბა, გაიხსენე, განა ლენინიც ქაჩალი არ იყო? განა ვლადიმერ ილიჩის თავზე კი არ დატრიალდა 1917 წლის რევოლუცია? მე არ მახსოვს, ერთი ამოეკვნესოს, ერთი დაეჩივლოს, — გაუფართოვდა თვალები ანზორს.

— ჰო, ვიცი ეგ ამბები, აღარ გამახსენო, მამავ ბატონო.

— ერთ რამეს გკითხავ მხოლოდ და არ დამიმალო, ჩემმა მზემან.

— მე არასოდეს გიმალავ რამეს.

— გაწამეს?

— არ მეგონა, მაგას თუ მკითხავდი.

— რათა?

— როგორ ფიქრობ, ბიძინა ივანიშვილი ისე გამომიშვებდა?

— როგორ, თვითონ მოდიოდა ხოლმე?

— რა თქმა უნდა, თითქმის ყოველღამ შემოდიოდა საკანში, ჩამომიჯდებოდა ბალიშთან და მეძახდა: ნიკანოოოორ... აკი ვერ დამიჭერო, ბიჭო?! აი, ეს იყო ყველაზე გაუსაძლისი. თან ხითხითებდა, უხაროდა, ხომ დაგიჭირეო? ერთი-ორჯერ ირაკლი ღარიბაშვილიც შემოვიდა, კახურ მოტივებზე მაგინა, შენი ყველაყისას გაიტანო, ფეხებზეც არა მკიდიხარო, თუ საჭირო იქნება, ყვერებით დაგკიდებ ლეღვის ტოტზეო. განა რამე? როდის იყო, კახელებისა რამე მწყინდა? არა მწყინდა, უბრალოდ ადამიანის უფლებები ამნაირად რო ილახება, აეგა მკლავს და მინელებს, მამავ ბატონო.

— ოხ, მე ამათი! — წამოხტა ანზორი და დაიწყო ბოლთის ცემა შუა ოთახში.

— ახ, მამიჯან, „ვოტ ტაკაია, დოლია“ მამულისთვინ თავდადებულებისააaა! — აღმოხდა ქვეშეცნეულად ნიკანორს.

— თუმცა, ჰო, რომ არა ამათი დუნდუკლარული საქციელი, რომ არა ამათ მიერ დამყარებული დიქტატურა, შენ ხომ გმირადაც ვერ შეიქმნებოდი? არა, შენ მაინც შეიქმნებოდი სხვა პერიოდში და სხვა გარემოებაში, მაგრამ შეიძლება ეგეთი სიმძაფრით არ შექმნილიყავი! — დაასკვნა ანზორმა და ძვირადღირებულ „ტაბურეტკაზე“ ჩამოჯდა.

— დიახ, მამავ ბატონო, შენგან ვისწავლე გარემოებათა თეორია, რომლის წყალობითაც წარმოიშვებიან ხოლმე გმირები და მერე ქრებიან. ბევრი ქრება, ბევრი არა ქრება... მთავარია, გასაქრობთა სიაში არ მოხვდე! — დაასკვნა ნიკანორმაც.

— გარემოებათა თეორია არის დედამიწის მამოძრავებელი ძალა და გულის კუნჭულის იდუმალება. შეიძლება გარემოება გათქვა, იდეალებს ანაცვალო, თუკი ეს მამულსა და დედულს სჭირდება, მაგრამ იდუმალება მაინც უნდა დაიტოვო რაღაც დოზით. თუ შენში იდუმალება აღარ იარსებებს, თუ შენი სხეული იდუმალებისგან დაიცლება, მორჩა, აღარაფერი გეშველება, ხელი უნდა ჩაიქნიო. აი, რატომ არიან „ქოცები“ უცნაურნი და რაღაცნაირნი? მათში არ არსებობს არც იდუმალება და არც გულის კუნჭულში ჩამარხული ამ იდუმალების თესლი. შენი დიდი ბებია ამბობდა ხოლმე, რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო. სწორედ ეგრე მოუვიდათ „ქოციონალებს“. შენმა დიდმა ბებიამ არც კი იცოდა, ოდესმე ეგეთი „ნაროდი“ თუ მოევლინებოდა ამ ქვეყანას, მან უბრალოდ იწინასწარმეტყველა და ეგ არი, გენიოსი ქალი იყო. სწორედ მისგან მოგვდგამს მელიებს გენიოსობა. აბა, შენ სადმე გენიოსი მელია გინახავს? გეთები არ არსებობენ, მელიების არსი საერთოდ დაკავშირებულია ეშმაკობასთან, ტყუილთან, მალულობასთან და ასე შემდეგ. ჩვენ კი სხვანაირები გამოვედით — გმირნი, მამაცნი, კამაცნი, ავანნი, ჩავანნი და მალე დადგება დრო, როცა უხილავი ძალა სრულად გადმოგვაბარებს დედულისა და მამულის სადავეებს.

— იჰ, ძალიან ჭკვიანურადა ჰბაზრობ, მამავ ბატონო! — შეჰყვირა უცებ ნიკანორმა და ერთი გემრიელად გაიზმორა, ძვირადღირებულად.

— მე სუ ჭკვიანურათა ვბაზრობდი, მაგრამ ვინ მიჯერებდა? როდესაც გამოვედი და ვთქვი, თუ „ნაცმოძრაობა“ ვერ გაიმარჯვებს, თავს მოვიკლავ-მეთქი, გახსოვს?

— რა თქმა უნდა, ეგ ისტორიული სიტყვები მთელ კაცობრიობას ახსოვს, მაგას ვინ დაივიწყებს? მაგის შემდეგ განაცხადა ფრიდრიხ დიდმა, აქეთ მე ვარ, იქით კიდე უფლისწული ანზორიო.

— კაცობრიობას კი ახსოვს, მაგრამ ვინმე მიფასებს?! — გადაატრიალა თვალები ანზორმა, — სხვანაირად გაიგეს, შიგა და შიგ ქირქილებდნენ, გაგიჟდაო, ავმა სულებმა შეიპყრესო, თავის მოკვლა სად გაგონილაო? ვერც კი მიხვდნენ, რომ ეს იყო სიმბოლური თავის მოკვლა. მაგალითად, ადამიანს აქვს ორი თავი, ერთი რეალური, მეორე — სიმბოლური. ამიტომ ეტყვიან ხოლმე ზოგიერთს, შე ორი თავი ხო არა გაქვსო? ჰოდა, მე ვაპირებდი სიმბოლური, ანუ არარეალური თავის მოკვლას. ვერ გამიგეს, ვერ აღმიქვეს, ვერ გამითავისეს, სამშობლოსთან ვერ გამაიგივეს. ილიაო, აკაკიო, ვაჟაო, როდემდე უნდა მივსტიროთ გარდაცვლილ ადამიანებს? ცოცხლებიც ხო უნდა დავაფასოთ? განა შეიძლება, უზურში სუ წინა საუკუნეები გვქონდეს? ბოლოს და ბოლოს, მართლა ეგეთი მაგარი იყო ილია ჭავჭავაძე? ვინ არღვევდა გლეხების უფლებებს საგურამოში, მე? ჩავიდოდა ხოლმე თავადი ჭავჭავაძე და გადაუკეტამდა ხოლმე წყალსა. შენ გგონია, ბიძინაზე ნაკლები ბარბაროსი იყო? რამდენი ადამიანიც მე გადამირჩენია გულის ოპერაციებითა, შუნტირებითა და მუნტირებითა, რომელი ილია მოვა ჩემთან?! ერთი აკაკი იყო კიდე, რააა, დადიოდა, დაქეიფობდა, სულ წუწუნებდა, ფულიკო. ფულიკო, ფულიკოო, გაიძახოდა. ვაჟაო, კაცს ცოლი მოუკვდა და ერთი თვის მემრე გაიგო, შირაქში იყო გადახვეწილი სახინკლაოდ!



— დაგაფასებენ, მამავ ბატონო, გპირდები!

— როდის?

— როცა ამ ქვეყნის ავანი და ჩავანი გავხდები, როცა ბიძინას გავაგდებ აქედან!

— ეგ უნდა გააკეთო, ნიკანორ, თუ არ გააკეთებ, თავს მოვიკლავ... ოღონდ სიმბოლურად, მეორე თავს მოვიკლავ!

— არ გინდა ეხლა, მამავ ბატონო, მე შენ არც ერთ თავს არ მოგაკვლევინებ.

ნიკანორმა დაღლილი თავი დივან-კრესლოზე გადადო, ჯერ ისევ წარსულში ჩაიძირა, შემდეგ კი სასოებით ჩაეძინა. ანზორმა შინაურებს ხელით ანიშნა, თქვენი სუსი არ იყოს, საქართველოს მომავალს სძინავსო... სხვათა შორის, არა მხოლოდ საქართველოს მომავალსაო, აბა, მსოფლიო ისტორიას თუ ახსოვს, ევროკავშირს ვინმესთვის გირაო გედეეხადოს? ჰა, ახსოვს? რაც არ არი, რა ემახსოვრება? ჰოდა, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ნიკანორი შეიძლება მსოფლიო მბრძანებელი გახდეს. არა, მსოფლიო მბრძანებელი ცუდი ნათქვამია, ეგ ადრე იყო ხოლმე კარგი, ეხლა დემოკრატიის პირობებში რაღაცნაირადა ჟღერს.

ნიკანორმა ამოიხვრინა, ანზორი ფეხაკრეფით გავიდა ძვირადღირებული დარბაზიდან.

ნოველა რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით დაწერა
**გელა ზედელაშვილმა**
555 48 48 61

# ლიბერალიზმი – კერპი, რომელმაც არ გაამართლა



**ჯორჯ მონბიო — ბრიტანელი მწერალი და პოლიტიკური აქტივისტი, ჟურნალ The Guardian-ის ყოველკვირეული მესვეტე.**

**არის რამდენიმე წიგნის ავტორი, მათ შორისაა „დატყვევებული სახელმწიფო — ბრიტანეთის კორპორატიული შთანთქმა“**

წარმოიდგინეთ, რომ საბჭოთა ხალხს არასდროს ჰქონოდა გაგონილი კომუნიზმი. იდეოლოგია, რომელიც დღეს დომინირებს ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენი უმრავლესობისთვის, უსახელოა. ახსენეთ ის საუბრისას და გაოცდებით — იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ტერმინი თქვენს მსმენელებს მანამდეც სმენიათ, ისინი შეგეწინააღმდეგებიან მის განსაზღვრებაში. ნეოლიბერალიზმი: იცით ეს რა არის?

მისი ანონიმურობა, ერთდროულად მისი ძალაუფლების სიმპტომიცაა და მიზეზიც. ნეოლიბერალიზმმა გადამწყვეტი როლი შეასრულა სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინო კრიზისებში, როგორიცაა: 2007–2008 წლებში, მოულოდნელი ფინანსური ვარდნა, სიმდიდრისა და ძალაუფლების ოფშორიზაცია [1], რომლისთვისაც თვალი მხოლოდ Panama Papers-ზე გვაქვს მოკრული, სახელმწიფო ჯანდაცვისა და განათლების ნელი კოლაფსი, ბავშვთა სიღარიბის დაბრუნება, მარტოობის ეპიდემია, ეკოსისტემის განადგურება და დონალდ ტრამპის აღმავლობა. ამ კრიზისებს ჩვენ ისე ვპასუხობთ, თითქოს ისინი იზოლაციურად წარმოიშვებიან — ვერ ვაცნობიერებთ, რომ თითოეული მათგანი კატალიზდება და მწვავდება ერთი და იგივე კოჰერენტული ფილოსოფიის მიერ — ფილოსოფიისა, რომელსაც აქვს ან ჰქონდა სახელი. რას შეიძლება ჰქონდეს იმაზე დიდი ძალაუფლება, ვიდრე უსახელოდ ფუნქციონირებას?

ასეთ ყოვლისმომცველ და ყველგან შეღწევად ნეოლიბერალიზმსაც კი, ჩვენ იშვიათად თუ ვაღიარებთ იდეოლოგიად. ჩვენ, როგორც ჩანს, ვეთანხმებით მტკიცებას, რომ ეს უტოპიური, ათასწლეულისათვის დამახასიათებელი რწმენა აღწერს ნეიტრალურ ძალას, ერთგვარ ბიოლოგიურ კანონს, დარვინის ევოლუციის თეორიის მსგავსად, თუმცა ფილოსოფია წარმოშობილია ცნობიერი მცდელობისაგან, შეიცვალოს ადამიანის ცხოვრება და გადაადგილდეს ძალაუფლების წერტილი.

ნეოლიბერალიზმი კონკურენციას ადამიანური ურთიერთობების განმსაზღვრელ თვისებად სახავს. ის ხელახლა განსაზღვრავს მოქალაქეებს მომხმარებლებად, რომელთა დემოკრატიული არჩევანი საუკეთესოდ რეალიზდება ყიდვა-გაყიდვის პროცესში, სადაც ჯილდოვდება უნარიანობა და ისჯება უუნარობა. ნეოლიბერალიზმის მიხედვით, „ბაზარი“ ისეთ სარგებელს ქმნის, რომლის მიღწევაც შეუძლებელია დაგეგმვით.

კონკურენციის ლიმიტირების მცდელობა თავისუფლების მტრობად მიიჩნევა. გადასახადები და რეგულაციები უნდა შემცირდეს, საჯარო სერვისები უნდა პრივატიზირდეს. სამუშაო ძალის ორგანიზება და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოება პროფკავშირების მიერ, დახატულია ბაზრის სიმახინჯედ, რომელიც ხელს უშლის გამარჯვებულისა და დამარცხებულის ბუნებრივი იერარქიის ჩამოყალიბებას. უთანასწორობა შეფასებულია სათნოებად: სასარგებლო საქმის მკეთებელთა დაჯილდოვებად და სიმდიდრის გენერირებად, რომელიც ჩამოიჟონება ქვემოთ, რათა დანარჩენები გაამდიდროს. მცდელობა, შეიქმნას უფრო თანასწორი საზოგადოება — ერთდროულად კონტრპროდუქტიულიცაა და მორალურად მიუღებელიც — ბაზარი უზრუნველყოფს, რომ ყველამ მიიღოს ის, რასაც დაიმსახურებს.

ჩვენ ინტერნალიზაციას ვუკეთებთ ამ კრედოს და ვახდენთ მის კვლავწარმოებას. მდიდრები არწმუნებენ საკუთარ თავს, რომ სიმდიდრეს დამსახურებულად იღებენ და უგულებელყოფენ ისეთ გარემოებებს, როგორიცაა განათლება, გარემო, კლასი — რაც მათ ამ ყველაფრის მიღწევაში შეიძლება დახმარებოდა. ღარიბები საკუთარ თავს აბრალებენ თავიანთ წარუმატებლობას მაშინაც კი, როცა საკუთარი გარემოს შესაცვლელად ძალზე მწირი შესაძლებლობები აქვთ.

არ აქვს მნიშვნელობა სტრუქტურულ უმუშევრობას: თუ არ გაქვს სამუშაო, ეს იმიტომ, რომ უინიციატივო ხარ. არ აქვს მნიშვნელობა რამდენად არაადეკვატურად ძვირია საცხოვრებელი: თუ შენი საკრედიტო ბარათი ფუნქციას კარგავს, ეს შენი უპასუხისმგებლობისა და უყურადღებობის ბრალია. არ აქვს მნიშვნელობა არც იმას, რომ თქვენს შვილებს არ აქვთ სკოლებში სათამაშო მოედნები: თუ ისინი გასუქდნენ, თქვენი ბრალია. კონკურენციით მართულ მსოფლიოში — ის, ვინც უკან რჩება -მიიჩნევა და განისაზღვრება უუნაროდ — საკუთარი თავის მიერაც კი.

საკუთარ წიგნში, სახელად “რაც შემეხება მე — იდენტობისათვის ბრძოლა ბაზარზე დაფუძნებულ საზოგადოებაში” (What About Me? _ The Struggle For Identity In A Market-Based Society), პოლ ვერეგე აღწერს ამგვარი საზოგადოების შედეგებს, რომელთა შორისააა: თვითდაზიანების ეპიდემია, კვებითი აშლილობა, დეპრესია, მარტოობა, შფოთვა და სოციალური ფობია. ალბათ, არ არის გასაკვირი, რომ ლონდონი, სადაც ყველაზე ღრმად აქვს ფესვები გადგმული ნეოლიბერალურ იდეოლოგიას, მარტოობის დედაქალაქია ევროპაში, ჩვენ კი, ამჟამად, ყველანი ნეოლიბერალები ვართ. ტერმინი ნეოლიბერალიზმი სათავეს იღებს 1938 წლის პარიზის შეხვედრიდან, სადაც დელეგატები ლუდვიგ ფონ მიზესი და ფრიდრიხ ჰაიეკი იყვნენ. სწორედ მათ განსაზღვრეს ასე იდეოლოგია. ფრანკლინ რუზველტისა და დიდი ბრიტანეთის კეთილდღეობის სახელმწიფოს გრადუალური განვითარების სოციალ-დემოკრატიულ მაგალითში მათ კოლექტივიზმის მანიფესტაცია დაინახეს, რაც მსგავსი აზროვნების ველში ნაციზმსა და კომუნიზმს უტოლდება. წიგნში „გზა მონობისკენ“, რომელიც 1944 წელს გამოიცა, ჰაიეკს მოჰყავს არგუმენტი, რომ მთავრობის მიერ გეგმარება, ინდივიდუალიზმის მოსპობით, მიგვიყვანს ტოტალიტარულ კონტროლამდე. როგორც მიზესის წიგნი „ბიუროკრატია“, „გზა მონობისკენ“ ასევე იყო ფართოდ კითხვადი. წიგნმა რამდენიმე ძალიან მდიდარი ადამიანის ყურადღება მიიპყრო, რომლებმაც ამ იდეოლოგიაში დაინახეს შესაძლებლობა, საკუთარი თავი რეგულაციებისა და გადასახადებისაგან გაეთავისუფლებინათ. 1947 წელს, როდესაც ჰაიეკმა პირველი ორგანიზაცია “მონ პელერინის საზოგადოება” დააარსა, და მას შემდეგი დღის წესრიგი ჰქონდა — გაევრცელებინა ნეოლიბერალიზმის დოქტრინა, მისი ფინანსური მხარდამჭერები მილიონერები და მათი ფონდები იყვნენ.

სწორედ მათი დახმარებით დაიწყო ჰაიეკმა იმგვარი რამის შექმნა, რასაც დანიელ სტედმან ჯონსი “ერთგვარ ნეოლიბერალურ ინტერნაციონალს“ უწოდებს — ტრანსატლანტიკური ქსელისა, რომელიც აერთიანებდა ბიზნესმენებს, ჟურნალისტებს, აკადემიკოსებსა და აქტივისტებს. მოძრაობის მდიდარმა მხარდამჭერებმა დააფინანსეს “სინქ-თენქების” მთელი სია, რომელთაც უნდა დაეხვეწათ და გაევრცელებინათ იდეოლოგია. მათ შორის იყო ამერიკის სამეწარმეო ინსტიტუტი, მემკვიდრეობის ფონდი (ტჰე Hერიტაგე Fოუნდატიონ), კატოს ინსტიტუტი (ტჰე ჩატო Iნსტიტუტე), ეკონომიკურ ურთიერთობათა ინსტიტუტი (the Institute of Economic Affairs), პოლიტიკური კვლევების ცენტრი (the Centre for Policy Studies) და ადამ სმიტის ინსტიტუტი (the Adam Smith Institute). მათ ასევე დააფინანსეს აკადემიური ფაკულტეტები და პოზიციები, კერძოდ ჩიკაგოსა და ვირჯინიის უნივერსიტეტებში.


ლუდვიგ მიზესი


მილტონ ფრიდმანი

განვითარების ამგვარი გზის შემდეგ, ნეოლიბერალიზმი ბევრად უფრო მძლავრი გახდა. თუ ჰაიეკის შეხედულების მიხედვით, მთავრობამ უნდა გააკონტროლოს კონკურენცია, რათა თავიდან აიცილოს მონოპოლია, მისსავე ამერიკელ მოციქულებს შორის, როგორიცაა მაგალითად მილტონ ფრიდმანი, გაზიარებული იყო რწმენა, რომ მონოპოლიური ძალა შეგვიძლია დავინახოთ, როგორც ეფექტურობის გასამრჯელო.

რაღაც მოხდა ტრანზიციის ამ მონაკვეთში — მოძრაობის სახელი გაუჩინარდა. 1951 წელს, ფრიდმანი ამაყად განსაზღვრავდა საკუთარ თავს ნეოლიბერალად, თუმცა, ძალიან მალე, ტერმინმა გაუჩინარება დაიწყო — სხვათა შორის, ეს კიდევ გრძელდება — მაშინაც კი, როცა იდეოლოგია გახდა უფრო მძლავრი და თანმიმდევრული, დაკარგული სახელი არ ჩანაცვლებულა რაიმე საერთო ალტერნატივით. მიუხედავად ძლიერი ფინანსური მხარდაჭერისა, პირველ ეტაპზე ნეოლიბერალიზმი გარკვეულ საზღვრებში ექცეოდა. ომის შემდგომი შეთანხმება თითქმის უნივერსალური იყო: ჯონ მეინარდ კეინზის ეკონომიკური ხედვები ფართოდ იყო გაზიარებული, სრული დასაქმება და სიღარიბის აღმოფხვრა საერთო მიზანს წარმოადგენდა აშშ-სა და ევროპის დიდი ნაწილისათვის: საგადასახადო განაკვეთები იყო ძალიან მაღალი, მთავრობები ცდილობდნენ შეექმნათ სოციალური სიკეთეები, განევითარებინათ ახალი საჯარო სერვისები და უსაფრთხოების სისტემები.

მაგრამ 1970-იანი წლებიდან, როდესაც კეინზიანურმა პოლიტიკებმა ეკონომიკიდან გამოსვლა დაიწყო და ატლანტიკური სივრცე კრიზისებმა მოიცვა, ნეოლიბერალურმა იდეებმა მეინსტრიმში იწყეს გადასვლა. სიმპატიებით განწყობილი ჟურნალისტებისა და პოლიტიკური მრჩევლების დახმარებით, ნეოლიბერალური პოლიტიკის მონეტარული რეცეპტები გაიზიარეს ჯიმი კარტერის ადმინისტრაციამ ამერიკაში და ჯეიმს კალაჰანის მთავრობამ დიდ ბრიტანეთში.

მარგარეტ ტეტჩერისა და რონალდ რეიგანის ძალაუფლების სათავეში მოსვლას მალევე მოჰყვა ნეოლიბერალური პოლიტიკების სხვა პაკეტებიც: მდიდრებისთვის გადასახადების მასიური შემცირება, პროფკავშირების ჩამოშლა, დერეგულაცია, პრივატიზაცია, აუთსორსინგი და კონკურენცია საჯარო სერვისებს შორის. საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, მაასტრიხტის ხელშეკრულებისა და საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის ხელშეწყობით ნეოლიბერალური პოლიტიკები მთელ მსოფლიოში დაინერგა, ხშირად დემოკრატიული შეთანხმების უგულებელყოფითაც კი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ადაპტაცია იმ ქვეყნებში, სადაც წინათ იყო მემარცხენე: ლეიბორისტული და დემოკრატიული მთავრობები. როგორც სტედმან ჯონსიმ აღნიშნა: „ძნელია მოიფიქრო სხვა უტოპია, რომელიც ამდენად სრულად რეალიზდა“.

* * *

შეიძლება უცნაურადაც გვეჩვენებოდეს, მაგრამ დოქტრინა, რომელიც იძლეოდა დაპირებებს არჩევანისა და თავისუფლების შესახებ, სცენაზე გამოდის სლოგანით: „არ არსებობს სხვა ალტერნატივა“. როგორც ჰაიეკმა აღნიშნა პინოჩეტის ჩილეში ვიზიტის დროს (ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, სადაც პროგრამა სრულყოფილად განხორციელდა) — „ჩემთვის უპირატესია ლიბერალური დიქტატურა, ვიდრე დემოკრატიული მთავრობა, რომელიც ჩამოცილებულია ლიბერალიზმს“. თავისუფლება, რომელსაც გვთავაზობს ნეოლიბერალიზმი — რომელიც ასე მაცდურად ჟღერს ზოგადი ტერმინებით აღწერისას, რეალურად ნიშნავს თავისუფლებას ქარიყლაპიებისთვის [2] და არა ლიფსიტებისთვის.

პროფკავშირებისაგან და

კოლექტიური მოლაპარაკებებისაგან გათავისუფლება ნიშნავს ხელფასებზე ზეწოლის, ხელფასების შემცირების თავისუფლებას; რეგულაციებისაგან გათავისუფლება კი ნიშნავს თავისუფლებას — მოწამლო მდინარე, საფრთხეში ჩააგდო მშრომელები, გაგაჩნდეს უსამართლო ინტერესები და ქმნიდე ეგზოტიკურ ფინანსურ ინსტრუმენტებს მათ მისაღწევად. გადასახადებისაგან გათავისუფლება — კეთილდღეობის რედისტრიბუციისგან გათავისუფლებას ნიშნავს, რაც ადამიანებს სიღარიბეში ტოვებს.

როგორც ნაომი კლაინი აღწერს „შოკურ დოქტრინაში", ნეოლიბერალი თეორეტიკოსები ადვოკატირებენ კრიზისების გამოიყენებას იმისათვის, რათა დაბნეულ ადამიანებს თავს მოახვიონ მანამდე არაპოპულარული პოლიტიკები. ასეთი კრიზისები იყო პინოჩეტის გადატრიალებაც, ერაყის ომიც, ქარიშხალი კატრინაც — რაც ფრიდმანმა განსაზღვრა, როგორც "შესაძლებლობა განათლების სისტემის რადიკალური რეფორმირებისთვის" ნიუ-ორლეანში.

იქ, სადაც ნეოლიბერალური პოლიტიკა ვერ იმკვიდრებს თავს ქვეყნის შიგნიდან, მას ეხმარება საერთაშორისო პროცესები, მაგალითად სავაჭრო შეთანხმებები, რომლებიც ატარებს შინაარსს — „ინვესტორი სახელმწიფო პრობლემის გადამწყვეტია" — ოფშორული ტრიბუნალები, სადაც კორპორაციებს შეუძლიათ მოითხოვონ მათთვის დაკისრებული სოციალური დაცვისა და გარემოზე მავნე ზემოქმედების შემზღუდველი მექანიზმების გაუქმება. როდესაც პარლამენტები კენჭს უყრიან სიგარეტის გაყიდვების შეზღუდვას, იცავენ წყლის მარაგებს მომპოვებელი კომპანიებისგან, ყინავენ ენერგეტიკულ პროექტებს ან თავიდან იცილებენ ფარმაცევტული კომპანიების სახელმწიფოსგან გამოცალკევებას, კორპორაციები ძალიან წარმატებულად უწევენ მათ წინააღმდეგობას. დემოკრატია დაყვანილია თეატრამდე.

ნეოლიბერალიზმის სხვა პარადოქსია უნივერსალური კონკურენცია, დაფუძნებული უნივერსალურ შედარებითობასა და რაოდენობითობაზე, რის შედეგადაც მშრომელები, სამუშაოს მაძიებელნი და ყველა სახის საჯარო სერვისები მიჩნეულია უმნიშვნელო წვრილმანებად, დაქვემდებარებულებად მონიტორინგისა და შეფასების დახშული რეჟიმისადმი, რომელიც შექმნილია გამარჯვებულის გამოსავლენად და დამარცხებულის დასასჯელად. დოქტრინამ, რომელიც ფონ მიზესმა შემოგვთავაზა, რათა გავეთავისუფლებინეთ ცენტრალური დაგეგმვისათვის დამახასიათებელი ბიუროკრატიული კოშმარისაგან, შექმნა სულ სხვა რამ. ნეოლიბერალიზმი არ იყო ჩაფიქრებული, როგორც თვითმართვადი რაკეტა, მაგრამ ის მალევე გახდა ასეთი. ნეოლიბერალურ ერაში, ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნად შემცირდა (1980-იანი წლებიდან, ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში), წინა დეკადასთან შედარებით, თუმცა ეს არ შეხებია მდიდრებს. შემოსავლებისა და კეთილდღეობის უთანასწორო გადანაწილება განსაკუთრებით გამწვავდა — ჩამოიშალა რა პროფკავშირები, შემცირდა გადასახადები, გაიზარდა რენტა, მოხდა დერეგულაცია და მიმდინარეობდა პრივატიზაცია.

რაც უფრო მწვავეა კრიზისი, მით უფრო ექსტრემალური ხდება იდეოლოგია. სახელმწიფო ნეოლიბერალურ კრიზისებს გადასახადების შემცირების, საჯარო სერვისების პრივატიზაციისა და დერეგულაციისათვის იყენებს — როგორც შესაძლებლობად, ისე გამამართლებელ საშუალებად. საკუთარ თავზე მონადირე სახელმწიფო ახლა კბილებს ყველა ძირითადი საჯარო სექტორის მიმართულებით ილესავს.

შესაძლოა, ნეოლიბერალიზმის მთავარი საფრთხე იყოს არა


მარგარეტ ტეტჩერი და რონალდ რეიგანი

მისგან გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი, არამედ პოლიტიკური კრიზისი. სახელმწიფოს როლის შემცირებასთან ერთად, შემცირდა ჩვენი შესაძლებლობაც, ხმის მიცემის გზით შევცვალოთ ჩვენი ცხოვრების კურსი. მეტიც, ნეოლიბერალური თეორია ამტკიცებს, რომ ხალხს საკუთარი არჩევანის განხორციელება ხარჯვით შეუძლია, მაგრამ ზოგს უფრო მეტი აქვს დასახარჯად: შესაბამისად, დიდ კონსუმერისტულ დემოკრატიაში, ხმები არაა თანაბრად გადანაწილებული, შედეგი კი ის არის, რომ დაბალი და საშუალო კლასი დარჩა ძალაუფლების ინსტრუმენტის გარეშე, როცა მემარჯვენე და მემარცხენე პარტიები დიდი ხნის განმავლობაში ერთმანეთის მსგავს ნეოლიბერალურ პოლიტიკებს ატარებდნენ. ძალაუფლების დელეგირება ხალხზე, რაც ხმის მიცემის მექანიზმს გულისხმობდა, გადაიქცა ხმის უფლების პრივილეგიად [3]. ასე ჩამოშორდა პოლიტიკას ადამიანთა ძალიან დიდი ნაწილი.

კრის ჰეჯი აღნიშნავს, რომ "ფაშისტური მოძრაობა ეფუძნება არა პოლიტიკურ აქტივობას, არამედ "უუნაროთა" ინერტულობას, რომლებიც ხშირად მართებულად ფიქრობენ, რომ მათ არ აქვთ არავითარი ხმის უფლება, ან როლი — პოლიტიკურ სივრცეში. როცა პოლიტიკური დებატები საერთოდ აღარ ლაპარაკობს ჩვენს შესახებ, ხალხი რეაგირებს მხოლოდ სლოგანებზე, სიმბოლოებსა და სენსაციებზე. დონალდ ტრამპის მხარდამჭერთათვის, მაგალითად, ფაქტები და არგუმენტები არარელევანტურია.

ჯატი განმარტავს, რომ როცა ინტერაქცია წყდება ხალხსა და სახელმწიფოს შორის, ეს კავშირი ეყრდნობა სხვა აღარაფერს, თუ არა ავტორიტეტსა და იძულებას, რადგან ამ დროს, ერთადერთ შემაკავებელ ფაქტორად ისევ სახელმწიფო ძალა რჩება. ჰაიეკის შიში ტოტალიტარიზმისადმი უფრო მეტად რეალური ხდება მაშინ, როცა სახელმწიფო კარგავს სერვისების მიწოდების მორალურ ავტორიტეტს, რადგან ამ შემთხვევაში, ხალხის მოტყუება, დაშინება და იძულება ხდება მათი დამორჩილების ერთადერთი საშუალება.

* * *

კომუნიზმის მსგავსად, ნეოლიბერალიზმიც ის ღმერთია, რომელმაც არ გაამართლა, თუმცა მისი დოქტრინები კვლავ განაგრძობენ ფუნქციონირებას, როგორც ზომბები. რისი ერთ-ერთი მიზეზიც მისი ანონიმურობაა — ან, უფრო სწორად — სიმრავლე ანონიმურობებისა.

უხილავი დოქტრინის უხილავი ხელი ფუნქციონირებს უხილავი ბანკირების ხელშეწყობით. ჩვენ ნელა, ძალიან ნელა დავიწყეთ რამოდენიმე მათგანის სახელის აღმოჩენა. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ეკონომიკურ ურთიერთობათა ინსტიტუტი (Institute of Economic Affairs), რომელიც მედიაში თითქოს მკაცრად ეწინააღმდეგება თამბაქოს ინდუსტრიის ახალ რეგულაციებს, საიდუმლოდ შექმნილია ბრიტანულ-ამერიკული თამბაქოს მულტინაციონალური კომპანიის (BAT) მიერ, 1963 წელს. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ მსოფლიოს ორი უმდიდრესი ადამიანის, ჩარლზ და დევიდ კოხების მიერ დაფუძნებული ინსტიტუტიდან განვითარდა "Tea Party" მოძრაობა (ამერიკელი კონსერვატორული მოძრაობა, რესპუბლიკური პარტიის კონსერვატიულ ფრთასთან გაერ-


ფრიდრიხ ჰაიეკი

თიანებული; რედ.შენიშვნა). ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ჩარლზ კოხის ჩანაწერებში, როდესაც ის ერთ-ერთ სინქ-თენქს აფუძნებდა, იყო ასეთი შენიშვნა: „იმისთვის რომ თავიდან ავიცილოთ არასასურველი კრიტიკა — თუ როგორ იმართება ან კონტროლდება ორგანიზაცია, საჭიროა მოვერიდოთ მის ფართოდ რეკლამირებას".

სიტყვები, რომელთაც ნეოლიბერალიზმი ხშირად იყენებს, უფრო მეტს მალავენ, ვიდრე ხსნიან. „ბაზარი" ისე ჟღერს, როგორც ბუნებრივი სისტემა, რომელიც თანაბრად მიმოიქცევა ჩვენს შორის; ბუნებრივი, როგორც, მაგალითად, გრავიტაცია ან ატმოსფერული წნევა. მაგრამ რეალურად, ის გაჯერებულია ძალაუფლებათა ურთიერთქმედებებით. რაც „ბაზარს უნდა" ნიშნავს იმას, რაც კორპორაციებს და მათ ბოსებს სურთ. „ინვესტიციას", როგორც მაიერი აღნიშნავს, აქვს ორი განსხვავებული განმარტება. პირველია პროდუქტიული და სოციალურად საჭირო აქტივობების უზრუნველყოფა, მეორე კი — არსებული აქტივების შეძენა რენტის, მერკანტილური ინტერესების, დივიდენდებისა და კაპიტალის დაუფლების მიზნით. მსგავსი სიტყვები კეთილდღეობის მითვისების შესანიღბად გამოიყენება, შედეგად კი ჩვენ ერთმანეთში ვურევთ კეთილდღეობის შექმნისა და მისი მიტაცების პროცესებს.

ეს ანონიმურობები და ბუნდოვანებები გამოწვეულია თანამედროვე კაპიტალის უსახელობითა და ულოკაციობით: ფრანჩიზის მოდელი იძლევა გარანტიას, რომ მუშებმა არ იცოდნენ, თუ ვისთვის შრომობენ; კომპანიები რეგისტრირდებიან იმდენად კომპლექსურ ოფშორულ ქსელებში, რომ პოლიციასაც კი არ შეუძლია მათი აღმოჩენა და მფლობელების დადგენა; საგადასახადო შეთანხმებებით ტყუვდებიან მთავრობები და მუდმივად იქმნება ახალი ფინანსური პროდუქტები, რომლებიც არავის ესმის.

ნეოლიბერალიზმის ანონიმურობა მკაცრადაა დაცული. ისინი, ვინც ჰაიეკის, მიზესის, ფრიდმანის გავლენის ქვეშ არიან, ამ ტერმინს რადიკალურად ეწინააღმდეგებიან და აღნიშნავენ — სხვათა შორის, სამართლიანად — რომ ის მხოლოდ უაყოფით კონტექსტში გამოიყენება, თუმცა არავითარ ახალ ალტერნატივას არ გვთავაზო-


კრის ჰეჯი

ბენ. მათი ნაწილი საკუთარ თავს განსაზღვრავს კლასიკოს ლიბერალად ან ლიბერტარიანად, თუმცა ამ განსაზღვრებებს არამხოლოდ ჩვენ შევყავართ შეცდომაში, არამედ ისინიც. ისინი საკუთარ თავს იტყუებენ, როდესაც აღნიშნავენ, რომ ჰაიეკის (გზა მონობისკენ), მიზესის (ბიუროკრატია) და ფრიდმანის (კაპიტალიზმი და თავისუფლება) ნაშრომებში არავითარი ბუნდოვანება არ არის.

* * *

ამ ყველაფერთან ერთად, თუ არის რაიმე მომხიბლავი ნეოლიბერალურ პროექტში, განსაკუთრებით კი მის ადრეულ საფეხურებზე, ესაა გამორჩეული და ინოვაციური ფილოსოფია, რომელსაც მხარი დაუჭირა მოაზროვნეთა და აქტივისტთა ერთგვაროვანმა ქსელმა — მათ ნათლად ჰქონდათ განსაზღვრული მოქმედების გეგმა — გამოიჩინეს შესაშური გამძლეობა და გამტანობა, „გზა მონობისკენ" კი გახდა ბილიკი ძალაუფლებისაკენ.

ნეოლიბერალიზმის ტრიუმფი აირეკლავს მემარცხენეობის მარცხსაც. როდესაც 1929 წელს, ჩაურევლობის ეკონომიკამ მარცხი განიცადა, კეინსმა წარმოადგინა ყოვლისმომცველი ეკონომიკური თეორია, რათა არსებული შეცვლილიყო. როდესაც კეინსიანური მენეჯმენტი ბუფერულ ზონებს შეეჯახა 70-იან წლებში, ალტერნატივა უკვე მზად იყო, მაგრამ მაშინ, როცა 2008 წელს, ნეოლიბერალური ეკონომიკა ჩავარდა, არ არსებობდა მისი შემცვლელი. სწორედ ამიტომ აგრძელებს არსებობას უსიცოცხლო იდეოლოგია. ესაა მიზეზი, რის გამოც ზომბი ცოცხალია.

თარგმნა
**საბა ტალახაძემ**

გაზეთი „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის"
N1, 2020 წ.

# 13 მაისი – ქართული ფეხბურთის დიდგორი

1981 წლის 13 მაისი ის თარიღია, რომელიც ყველა ქართველს გულში სიამაყის გრძნობას და ერთიანობას განგაცდევინებს, ეს თარიღი ემახსოვრებათ მანამდე, სანამ საქართველო და ქართული ფეხბურთი იარსებებს. ქვეყნისთვის რთულია იპოვო მსგავსი საამაყო თარიღი. ფეხბურთი რომ ფანტაზიის და მშვენიერების სიყვარულია, კარგად იცოდა ფეხბურთი ცოდნაში შეუმცდარმა გულშემატკივარმა, გენიალური ნოდარ ახალკაცის გაწვრთნილი თბილისის „დინამოს“ მიერ ქართული ფეხბურთის დიდგორად და საფეხბურთო გაზაფხულის მარადიულ დღესასწაულად იქცა: ეს გამარჯვება ჩვენი მრავალტანჯული ხალხისთვის ბევრის მთქმელი გახლდათ. იმ საღამოს ვიზეიმეთ ჩვენი ძალების რწმენა, ძალიან სერიოზული დასაბუთება ერის შენაგანი ერთიანობის, ხოლო გამარჯვებით გამოწვეული სიხარული მიუხედავად ემოციური ფონის, თავშეკავებული გამოხატვისა.

თბილისის „დინამოს“ 1972 წლიდან მრავალჯერ მიუღია მონაწილეობა ევროტურნირებში,




წარმატებები არ ჩანდა, მიუხედავად ამისა, „დინამო“ გეგმაზომიერად მიდიოდა დასახული მიზნებისაკენ, 1977 წელს მილანის „ინტერის“ და 1979 წელს „ლივერპულის“ დამარცხება ბევრმა შემთხვევითობას დააბრალა. ტრიუმფალურ გამარჯვებას წინ უძღოდა გამარჯვება ფეხბურთის სამშობლოში „ვესტ-ჰემთან“ და ჰოლანდიური ფეხბურთის გრანდის „ფეინოორდის“ დამარცხება, სწორედ ამ გამარჯვების შემდეგ ახალი იმედი ჩაგვესახა, რომ თბილისის „დინამო“ მოიპოვებდა გამარჯვებას. მოსახდენიც მოხდა, 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფის „რაინშსტადიონზე“ მეტოქედ გერმანული ფეხბურთის წარმომადგენელი იენის „კარლ-ცაისი“ დაგვიპირისპირდა. მატჩისადმი ინტერესი ქართველების მხრიდან განსაკუთრებული იყო, ამ მატჩის სანახავად საქართველოდან 60 კაციანი ჯგუფი სტუმრობდა, ჯგუფის შემადგენლობაში სამი ქალბატონი იყო: ლუიზა თავართქილაძე, ქეთევან მიქელაძე და რუსუდან ჭინჭარაძე, დელეგაციას შ/ს მინისტრი შოთა გორგოძე ხელმძღვანელობდა. მათ გარდა ქართველებს შემოუერთდნენ ემიგრაციაში მყოფი ჩვენი თანამემამულენი, მწერალი ლაშა თაბუკაშვილი, პარიზიდან ცნობილი მწერლის სერგი წულაძის ვაჟები, გერმანიაში მცხოვრები ვლადიმერ ძიმისტარაშვილი შვილებით და სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩასული 30-მდე ქართველი ებრაელი. ამ შეხვედრისადმი ინტერესი ძალიან დიდი იყო, პირდაპირი ტელეპორტაჟის უფლება 22-მა ქვეყანამ შეისყიდა, ხოლო ვიდეო ჩანაწერის გადაცემის უფლება 33-მა, რაც იმ პერიოდისთვის უპრეცედენტოდ დიდი ინტერესის გამოხატულება გახლდათ.

თამაშის დაწყებამდე ტრიბუნებზე გაჩაღდა პაექრობა ქართველ და გერმანელ გულშემატკივარს შორის, რამდენიმე წუთით ადრე ტრიბუნაზე გამოჩნდა თბილისის დაძმობილებული ქალაქის ზაარბრუკენის დელეგაცია, ქართველებისთვის ცნობილი რეჟისორის ჰერმან ვედეკინდის ხელმძღვანელობით, მათ დიდი ტრანსფარანტი მოჰქონდათ წარწერით - „თასი თბილისის „დინამოს“, მიუხედავად იმისა, რომ უმცირესობაში ვიყავით ტრიბუნაზე, ჩვენმა მოცეკვავეებმა მრავალფეროვანი რიტმებით აიყოლიეს ქართველთა პატარა ჯგუფი, რომლებმაც საბოლოოდ აჯობეს მრავალრიცხოვანი გერმანული გუნდის მომხრეებს.

გამარჯვებულმა „დინამომ“ მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (კაკილაშვილი), სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია, მატჩის არბიტრი იტალიელი რიკარდო ლატანცი გახლდათ, აქვე აუცილებლად მიგვაჩნია გამოვყოთ მაშინდელ გამარჯვებაში შოთა ხინჩიგაშვილის მიერ შეტანილი წვლილი, რომელსაც 9 მაისს 70 წელი შეუსრულდა, რომელიც ფინალურ მატჩში გაფრთხილებების გამო არ თამაშობდა, ფინალურ მატჩში მართალია ანგარიში გერმანელებმა გახსნეს, მაგრამ მალევე გუცაევმა შენგელიას გადაცემით ანგარიში გაათანაბრა, ხოლო მატჩის 87-ე წუთზე დავით ყიფიანმა უზუსტესი გადაცემით ვიტალი დარასელია მოძებნა, მანაც ულამაზესი და ურთულესი „სლალომით“ ოსტატურად გაიარა სამ მცველს შორის და მარცხენა ფეხით აუღებელი დაურტყა გერმანელთა კარის დარაჯს და შეტევა საუკუნის გოლით დააგვირგვინა. მატჩის შემდეგ უეფას პრეზიდენტმა არტემიო ფრანკიმ დინამოელთა კაპიტანს ალექსანდრე ჩივაძეს თასი გადასცა, ფეხბურთელებს და მწვრთნელებს მედლები ჩამოურიგა, ხოლო სპეციალური პრიზი გადამწყვეტი ბურთის ავტორს – ვიტალი დარასელიას გადასცა. შემდეგ იყო განუმეორებელი დღესასწაული, ცეკვას სიმღერა ცვლიდა, თასი ხელიდან ხელში გადადიოდა. ყველა ცდილობდა სურათი გადაეღო სანუკვარი ნადავლით ხელში. მეორე დღეს ადგილობრივი გაზეთი წერდა „ქართველებმა ჯერ მოედანზე, მერე ტრიბუნაზე, ბოლოს კი გასახდელში ნამდვილი ფოლკლორული ფესტივალი მოაწყვეს“... აი ასე შეაფასა ქართველების გამარჯვება იმედგაცრუებული მეტოქის სპორტულმა გამოცემამ. შემდეგი იყო მოედნის გარეთ განვითარებული მოვლენები, რომლებიც დაამახსოვრდებათ თაობებს, არ შეიძლება ყურთასმენიდან ამოიღო დღესაც საუკუნის ფრაზა, რომელიც ჩვენმა ლეგენდარულმა კოტე მახარაძემ წარმოთქვა – „პრედსტავლიაიუ ჩტო ტვორიტსია ვ ტბილისი, ლიკუეტ სტალიცა გრუზიი.“ მასაჟისტ ანზორ გაბიტაშვილის მიერ მსაჯისთვის წართმეული ისტორიული ბურთი, საზეიმო დახვედრები თბილისის აეროპორტში, ერთ-ერთი გულშემატკივრის მიერ ვიტალი დარასელიას „ცაციაზე“ ამბორი, საყოველთაო სიხარული დედაქალაქის ქუჩებში და რეგიონებში. ქართველების გამარჯვებას გამოეხმაურა, როგორც მსოფლიოს, ასევე ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. გთავაზობთ, ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის მწერალ ნოდარ დუმბაძის მიმართვას: „ყველაფერი, რაც მე ვნახე და გავიგონე, ძალიან ჰგავდა ცნობას დიდი სამამულო ომის დამთავრების შესახებ, უღრმესი მადლობა იმ უსაზღვრო სიხარულისათვის, რაც თქვენ მომანიჭეთ, ჩემო ძვირფასო ბიჭებო.“



ამ დიადი გამარჯვებიდან 40 წელი გავიდა, ღირებულებები ერთგვარად გახუნდა, დღეს ფეხბურთი, რასაც ჰქვია, არ გვაქვს, არც ხვალინდელი დღე გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს. მიუხედავად ასეთი ემოციებისა, არავის აქვს უფლება დავივიწყოთ 1981 წლის 13 მაისი, დღეს, როცა ქართული ფეხბურთი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას, ჩვენთვის დიდი სტიმულია სახელოვან წარსულზე ფიქრი, სწორედ ეს სიმბოლოა დღეს რომ გვაძლებინებს, თორემ ქართული ფეხბურთის აწმყოს შემხედვარეს, იქნებ ხელი კარგა ხნის წინ ჩაგვექნია. 13 მაისის გამარჯვება მხოლოდ ერთი გუნდის ტრიუმფი არ გახლავთ, იგი მთელი ქვეყნის გამარჯვებას ნიშნავს, საქართველო საფეხბურთო ქვეყანაა და მის სახელს გაფრთხილება სჭირდება. ის ბიჭები, რომლებმაც ეს სიხარული მოგვანიჭეს, სანახაობრივი და ლამაზი ფეხბურთით რომ გვანებივრებდნენ, დღეს ჭაღარა ვაჟკაცები არიან, რამდენიმე მათგანი უკვე აღარც არიან ჩვენს რიგებში, პირველად ქართულმა ფეხბურთმა 25 წლის ვიტალი დარასელია მოისაკლისა, 1982 წლის დეკემბერში ავტოკატასტროფაში დაიღუპა, მან საუკუნის გოლი გვაჩუქა და ისე დაემშვიდობა ვალმოხდილი საკუთარ ხალხს. 2001 წლის 17 სექტემბერს კიდევ ერთმა განუმეორებელმა დავით ყიფიანმა დაამწუხრა საქართველო, ისიც ავტოკატასტროფას შეეწირა. 2012 წლის ივნისში საკუთარ აგარაკზე გულის შეტევით გარდაიცვალა თავმდაბალი ლეგენდა, გოლების მანქანად წოდებული რამაზ შენგელია, სამუდამო სასუფეველი მათ ცამდე ამაღლებულ სულებს.

დღეს არცერთ ქართულ გუნდს არ ჰყავს საშუალო გაქანების დონის მწვრთნელი, აღარაფერს ვამბობ ფეხბურთელებზე, რომლის მიზერული საკადრო რესურსი უცხოურ ნაკლებად ცნობილ გუნდებშია მიმოფანტული, რაც დრო გადის სულ უფრო ვშორდებით 13 მაისს კალენდარულადაც და შინაარსობრივადაც. მიუხედავად ასეთი უარყოფითი ემოციებისა, განუმეორებელი დღესასწაული დაუვიწყარი იქნება არამარტო დღევანდელი, არამედ მომავალი თაობებისთვისაც, როგორც ეროვნული სპორტული წარსულის ბრწყინვალე ფურცელი და მომავლის იმედი. საქართველოს ამ განუმეორებელ გამარჯვებას და ქართული ფეხბურთის ღირსეულ წარსულს ვერავინ და ვერაფერი დაავიწყებს.



**ბექან ჩხეიძე**
555 41 97 33

# ცაციები – უცხოპლანეტელთა მემკვიდრეები

## სამყარო დღესაც ვერ გარკვეულა, ცაცია რომ ხარ, ეს კარგია თუ ცუდი



### ღმერთის შვილები თუ?

ძველი რომაელები ამაოდ როდი უფრთხოდნენ ცაციებს. შეხვედრისას ხელის ჩამორთმევა სწორედ აქ წარმოიშვა, რაც იმის დემონსტრირება იყო, რომ შემხვედრს ხელში იარაღი არ ეჭირა და მშვიდობიანი მიზნები ჰქონდა. ცაციებთან კი საქმე სხვაგვარად იყო: მათ შეეძლოთ, მარჯვენა ხელის ჩამორთმევისას მარცხენაში იარაღი ჰქონოდათ. სწორედ ამის გამო იყო, რომ ცაციები, როგორც დაქირავებული მკვლელები, ძალიან ძვირად ფასობდნენ.

იმ ქვეყნებში, სადაც მაგიას მისდევდნენ და ეს ნიჭი გამორჩეულობას ნიშნავდა, ცაცია ადამიანებს ღმერთების ნათესავებად მიიჩნევდნენ და თვლიდნენ, რომ (ღმერთების) შესაძლებლები ცაციებზე გადმოვიდა და პატივს მიაგებდნენ, როგორც წარმატების მომტანებს. ასე ფიქრობდნენ კელტები, ძველი ინდოელები და უკიდურესი ჩრდილოეთის ხალხები.

ძველი დროიდან ცაციები ბევრ ქვეყანაში არ უყვარდათ, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება მაშინ დაატყდათ თავს, როცა ევროპაში „კუდიანებზე ნადირობა“ დაიწყო. სატანის მიმდევრად ცხადდებოდა ყველა, ვინც სხვებისგან განსხვავდებოდა. ცაციებს ხშირად ჰქონდათ ოკულტიზმის ნიჭი და მათი დასჯისთვის, კოცონზე გაგზავნისთვის, ესეც საკმარისი იყო. XVII ს-ის ევროპაში ცაციების რაოდენობა მხოლოდ 5% იყო. მათი რაოდენობა ასწლეულების განმავლობაში არ მატულობდა და ევროპის ქვეყნების მოსახლეობის 15%-ს შეადგენდა. ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, ორლეანელი ქალწული ჟანა დ'არკი იმიტომ დასაჯეს, რომ ცაცია იყო.

ასწლეულები გადიოდა და ცაციების მიმართ დამოკიდებულება ოდნავ თუ იცვლებოდა. 1921 წელს დაიბეჭდა სამეცნიერო შრომა ფსიქოლოგიაში, რომელშიც იმ ადამიანებს, ვინც ყოველდღიურ ცხოვრებაში მარცხენა ხელს უფრო აქტიურად იყენებდა, გონებასუსტებს უწოდებდნენ. XX ს-ის ბოლოს გავრცელდა საწინააღმდეგო მოსაზრება: ცაციებს განიხილავდნენ, როგორც გენიალური შესაძლებლობების ადამიანებს, რადგან გამოჩენი-



ლი პოლიტიკოსების, ფერმწერების, მუსიკოსების და ლიტერატორების უმრავლესობა სწორედ ცაციაა.

### საიდან მოვიდნენ ისინი?

მსოფლიოში ცაციების წარმოშობის მრავალი ვერსია არსებობს.

ზოგიერთი ვერსიის მიხედვით, თავიდან მემარჯვენეები და ცაციები თანაბარი რაოდენობით არსებობდნენ და ორ სხვადასხვა ტომს წარმოადგენდგენ. რადგან მემარჯვენეები უფრო ძლიერები იყვნენ, მათ გაიმარჯვეს და სამყარო ისე მოაწყვეს, როგორც მათ სურდათ, ცაციებიდან კი მხოლოდ ისინი გადარჩნენ, ვინც ძლიერი იყო.

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ცაციაობა მემკვიდრეობითი დაავადებაა, ნორმიდან გადახრაა და მკურნალობა სჭირდება. ამ ნეგატიურ მოსაზრებას უპირისპირდება მეცნიერთა სხვა ჯგუფი, რომელიც თვლის, რომ ცაციები კაცობრიობის რჩეული ნაწილია, რომელიც ბუნებამ რაღაც განსაკუთრებული მიზნისთვის შექმნა და რადგან ეს მიზანი ჯერ ცნობილი არ არის, მათ განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ. ზოგიერთი მკვლევარის აზრით კი ცაციაობის მიზეზი, გენეტიკურის გარდა, შესაძლოა, ორსულობის პერიოდში ჩატარებული ულტრაბგერითი გამოკვლევებიც იყოს.

ცაციების წარმოშობის შესახებ არსებული ყველაზე იდუმალი თეორია კი გვამცნობს, რომ ცაციები დედამიწელი ქალებისა და პარალელური სამყაროდან მოსული უცხოპლანეტელების კავშირით გაჩნდნენ. უცხოპლანეტელები ადამიანებს გარეგნულად თითქოს ჰგავდნენ კიდეც, მაგრამ ზეშესაძლებლობებით გამოირჩეოდნენ და ეს შესაძლებლობები დედამიწელ შთამომავლებს გადასცეს.

ცაციები იყვნენ მწერლები: ალექსანდრ პუშკინი და ლევ ტოლსტოი, ლუის კეროლი, მარკ ტვენი, ჰერბერტ უელსი, ჰანს ქრისტიან ანდერსენი, ფრანც კაფკა.

მუსიკოსები: ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი, ნიკოლო პაგანინი, ჯიმი ჰენდრიქსი, პოლ მაკარტნი, კურტ კობეინი.

ფილოსოფოსები — არისტოტელე და ნიცშე.

წარმატებული ბიზნესმენები: როკფელერების დინასტიის წარმომადგენლები, ჰენრი ფორდი, ბილ გეიტსი.

კინოხელოვანები: ჩარლი ჩაპლინი, მერილინ მონრო, ტომ კრუზი, რობერტ დე ნირო, დემი მური, ნიკოლ კიდმანი.

სამეცნიერო სამყაროს წარმომადგენლები: ისააკ ნიუტონი, ალბერტ აინშტაინი, ნიკოლა ტესლა, მარია და პიერ კიური.

სპორტსმენები: პელე, დიეგო მარადონა, მიშელ პლატინი, ოლეგ ბლოხინი, იოჰან კრუიფი, ბობი ჩარლტონი.



XX ს-ში ცაციების ავტორიტეტი იმდენად გაიზარდა, რომ მათ საკუთარი დღეც კი აქვთ — 1992 წლის 13 აგვისტოს ბრიტანეთის ცაციათა საზოგადოებამ პირველად იზეიმეს ეს დღე, რომელიც მას შემდეგ ყოველწლიურად აღინიშნება, რათა თანაპლანეტელებს საკუთარი პრობლემების შესახებ უამბონ.

შესაძლოა, დედამიწაზე დადგეს ის დრო, როცა ცაციები უმრავლესობაში აღმოჩნდებიან.



# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

**„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი**

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



**— ჩემი შვილი სსკ-ის 109-ე მუხლით იხდის სასჯელს. არ შეეხო ამნისტიის კანონი. პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებაზეც უარი უთხრეს. რამდენად სწორია ეს?**

— მე ვერ გაგცემთ პასუხს, რამდენად სწორია ეს, მაგრამ აგიხსნით, თქვენი შვილის შემთხვევაში რა ფორმით უნდა გავრცელდეს ან არ გავრცელდეს პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი. მოგეხსენებათ, 109-ე მუხლი / გამზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში/ ყველაზე მძიმე მუხლია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. აქედან გამომდინარე, დანიშნული სასჯელიც იქნება მკაცრი. 109-ე მუხლით ჩადენილი დანაშაული მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულს. ასეთი კატეგორიის დანაშაულით მსჯავრდებულ პირებზე ვადაზე ადრე პირობით გათავისუფლების საკითხი /ე.წ. «უდო»/ შეიძლება გავრცელდეს, თუ მსჯავრდებულს მოხდილი აქვს დანიშნული სასჯელის სამი მეოთხედი. მაგრამ ეს არ გახლავთ იმპერატიული ნორმა. კანონში გამოყენებული სიტყვა «შეიძლება» ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებული თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან შეიძლება გათავისუფლდეს პირობით ვადამდე ადრე და, ასევე, შეიძლება, არ გათავისუფლდეს. პერიოდულად, 6 თვეში ერთხელ ხდება საპატიმრო საქმის გადახედვა. ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხი დამოკიდებულია მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე, ასევე, დანაშაულის სიმძიმეზე. ამასთან, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შესაბამისი კომისია უნდა დარწმუნდეს, რომ ეს პიროვნება აღარაა საშიში საზოგადოებისათვის და ა. შ. მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების თემას სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არ გააჩნია იმპერატიული, ანუ სავალდებულოდ შესასრულებელი ხასიათი.

* * *

**— გარდამეცვალა შვილი. მას დარჩა მეუღლე და ორი ვაჟი. ჩემი რძალი გვიცხადებს, რომ გარდაცვლილის ქონებიდან ჩვენ, მის მშობლებს არაფერი გვეკუთნის. არადა, ბინა, რომელიც ჩემი შვილის სახელზე ირიცხებოდა, ჩვენ ვაჩუქეთ სიცოცხლეშივე ჩემს გარდაცვლილ ვაჟს, რათა მომავალში არ დასჭირვებოდა ზედმეტი წვალება. ჩვენ ყველანი ერთად ამ ბინაში ვცხოვრობდით, ახლა კი რძალს არ სურს, მოხუცი დედამთილ-მამამთილი მასთან ცხოვრობდეს და გვავალდებულებს წავიდეთ სოფელში, სადაც დანგრეული სახლი გვაქვს, მამა-პაპისგან დარჩენილი. რამდენად სწორია ეს? გვეკუთვნის თუ არა ჩვენ წილი სამკვიდროდან?**

— უპირველესად, ვიზიარებ თქვენს მწუხარებას, შვილის გარდაცვალების გამო. ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი რამ ხდება ოჯახში.

ახლა მემკვიდრეობის საკითხი:

კანონით მემკვიდრეობის დროს კანონი თვითონ არეგულირებს, ვის უნდა დარჩეს გარდაცვლილის (მამკვიდრებლის) ქონება და რა რაოდენობით. ამ დროს არსებობს მემკვიდრეთა რიგითობის პრინციპი (სულ 5 რიგი), რაც იმას ნიშნავს, რომ წინა რიგის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა გამორიცხავს შემდგომი რიგის მემკვიდრეობას.

მოცემულ შემთხვევაში ჩვენი ინტერესის სფეროა პირველი რიგის მემკვიდრეთა სია. 1-ლი რიგის მემკვიდრეები არიან: გარდაცვლილის შვილები, შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები, (მშვილებლები).

აღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენ, როგორც გარდაცვლილის მშობლები, ხართ შვილის მემკვიდრეები და ქონება 1-ლი რიგის მემკვიდრეებს შორის უნდა განაწილდეს თანაბრად. ამ დროს მემკვიდრეთა უფლებებს შორის არ არსებობს განსხვავება სამკვიდრო ქონებასთან მიმართებით. მემკვიდრეთა შორის სამკვიდროს გაყოფაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

* * *

**— ჩემმა ახლობელმა მოიხადა პირობითი მსჯავრი. ითვლება თუ არა იგი ნასამართლეობის მქონე პირად?**

— აღარ ითვლება.

ამ სახის შეკითხვა ხშირად შემოდის ჩვენს რედაქციაში. ამიტომ სრულყოფილი ინფორმაციისთვის წარმოგიდგენთ შესაბამის ნორმას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან.

მუხლი 79. ნასამართლობა

1. მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

2. სასჯელისაგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არმქონედ.

3. ნასამართლობა გაქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებულისა — გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ.

4. თუ მსჯავრდებული კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდისაგან ვადამდე იქნა გათავისუფლებული ან თუ მას სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა შესაბამისად გამოითვლება სასჯელის ფაქტობრივად მოხდილი ვადიდან ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის (ძირითადი და დამატებითი) მოხდის მომენტიდან.

5. თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმწიკვლოდ იქცეოდა, მაშინ მისი თხოვნით სასამართლოს შეუძლია მოუხსნას მას ნასამართლობა ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე.

6. გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

# მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ვალუტა

**დღეისათვის განვითარებული საზოგადოების ეკონომიკური აუცილებლობაა ფულის ღირებულება. ყველა ქვეყანას თავისი კაპიტალი აქვს, რომელიც მნიშვნელოვანია არა მარტო ამ სახელმწიფოს ფარგლებში, არამედ მსოფლიო ბაზარზე, მაგრამ ქვეყნებს შორის მხოლოდ რამდენიმეს გააჩნია სავალუტო ავტორიტეტი. ამიტომ საქმიანი ადამიანები იძულებულნი არიან, ისარგებლონ ამ აღიარებული და ფუნდამენტური ფულადი ნიშნებით.**

**გთავაზობთ ყველაზე ფასიანი და ძვირფასი ბანკნოტების ჩამონათვალს.**





### მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ვალუტა – ქუვეითური დინარი

ქუვეითში თავმოყრილია ნავთობის საბადოები, რისი წყალობითაც ეს ვალუტა სანდო ფულის ნიშნად იქცა. მრავალწლიანი სტატისტიკის თანახმად, ამ ქვეყანაში ყოველი მეთხუთმეტე ადამიანი მილიონერია (მოსახლეობა 3 მლნ.). ქუვეითის დინარმა ლიდერის პოზიცია ჯერ კიდევ 1961 წელს დაიკავა, შეცვალა ინდური რუპია და ღირდა იმდენი, რამდენიც გირვანქა სტერლინგი. დინარის ღირებულების ზრდა განსაკუთრებით 2006–2007 წლებში შეიმჩნეოდა.

### მეორე ადგილი – ბაჰრეინული დინარი

ბაჰრეინი არაბული სახელმწიფოა, უფრო სწორად, ადმინისტრაციული ერთეული. ამ ქვეყნის ეროვნული ვალუტა 1961 წელს შეიქმნა და 1973 წლამდე არაბეთის გაერთიანებული საემიროების მთავარ კაპიტალს წარმოადგენდა. ამ ვალუტის ადგილი განსაზღვრა იმან, რომ ქვეყანაში კარგად არის განვითარებული ნავთობმომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა. ბაჰრეინული დინარის ბანკნოტების განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მათზე კულტურის ძეგლები და მრავალფეროვანი ორნამენტებია გამოსახული.

### მესამე ადგილი – ომანური რიალი

სახელმწიფო ომანი არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარეობს. თავდაპირველად ამ ქვეყნის ძირითადი ფულადი ნიშნები ინდური რუპია იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქვეყანა საიდურ რიალზე გადავიდა, რომელიც მოგვიანებით ომანურმა შეცვალა, ქვეყანაში ახალი ვალუტა შემოიღეს.

### მეოთხე ადგილი – იორდანიული დინარი

რაც უნდა პარადოქსული იყოს, შეუძლებელია იმის ახსნა, რატომ იკავებს იორდანიის ვალუტა მეოთხე ადგილს. ამ ქვეყანას ისრაელი აკონტროლებს, მაგრამ, 1940 წლიდან მოყოლებული, ის ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკური სისტემა კარგად არ არის განვითარებული და საბიუჯეტო სახსრების დეფიციტიც შეინიშნება, იორდანიის დინარი ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებულია და დოლარზე და ევროზე ძვირიც კი ღირს.



### მეხუთე ადგილი – გირვანქა სტერლინგი

ეს ვალუტა 1694 წლიდან ისტორიულად ყველაზე სტაბილურია. ფუნტმა დაკარგა პოზიციები მას შემდეგ, რა ამერიკულმა დოლარმა მე-20 საუკუნის 40-იანი წლების ბოლოდან მთელი სავალუტო ბაზარი დაიპყრო.

ბრიტანული ფულადი ერთეული გამოირჩევა სიძვირით და მუდმივობით. ამასთან, ის ტერიტორიული კუთვნილების ნიშნადაც შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მისი დიზაინი შემოქმედებითად არის შექმნილი. ბრიტანულმა ეროვნულმა ვალუტამ პოზიციები ევროკავშირის შექმნის შემდეგაც შეინარჩუნა.

### მეექვსე ადგილი – ევრო

ევროკავშირის ოფიციალური ვალუტა ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას იმ ქვეყნებში, რომლებიც ევროკავშირის შემადგენლობაში შედის. ევრო ძალიან პოპულარულია და ამერიკულ დოლარს უწევს კონკურენციას. მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ევროს იყენებს, როგორც სარეზერვო ფულად ნიშანს.



### მეშვიდე ადგილი – კაიმანის კუნძულების დოლარი

რეიტინგში მეშვიდე ადგილს კაიმანის კუნძულების დოლარი იკავებს. დრეისათვის ეს ვალუტა, რომელმაც იამაიკური დოლარი შეცვალა, ამერიკულ დოლარზეა მიბმული და მასავით არასტაბილურია და მკვეთრი უცაბედი რყევებით გამოირჩევა.

ნაციონალური ვალუტა ეს ფულადი ერთეული 1972 წლის შემდეგ გახდა, მას შემდე, რაც დიდი ბრიტანეთის სავალუტო საბჭო შეიქმნა. კაიმანური დოლარი ერთ-ერთ მოწინავე პოზიციას იკავებს, რადგან ამ სახელმწიფოს სანაპიროებთან ლოკალიზებულია საერთაშორისო დონის საფინანსო სტრუქტურები. აქვეა განლაგებული ოფშორული ზონა ტურისტული ბიზნესით, რომელშიც ამ ქვეყნის მოსახლეობის 100%-ია დასაქმებული.

### მერვე ადგილი – შვეიცარიული ფრანკი

შვეიცარიაში წარმოებული შოკოლადის, ყველისა და საათების სტაბილურობისა და მაღალი ხარისხის წყალობით, ამ ქვეყნის ფულადი ნიშნები მსოფლიოში სულ უფრო მყარდება. კუპიურების ვერტიკალური დიზაინი ორიგინალურობით გამოირჩევა, რაც უმალ იპყრობს ყურადღებას.

შვეიცარიის საბანკო სისტემა იმგვარად არის მოწყობილი, რომ ინფორმაცია მომხმარებლების შესახებ აბსოლუტურად დაცულია. სწორედ ამის წყალობით არის ფრანკი მსოფლიოს სავალუტო ბაზარზე ასეთი სტაბილური.

### მეცხრე ადგილი – ამერიკული დოლარი

მიუხედავად ამერიკის ეკონომიკის სპეციფიკისა და უზარმაზარი საგარეო სახელმწიფო ვალისა, ეს ვალუტა ლიდერებს შორისაა და მასზე მოდის მსოფლიო კაპიტალის 60%. დოლარის რყევაზე გავლენას ახდენს არა მარტო ამერიკის ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ ევროპის ფინანსური მდგომარეობაც.

### მეათე ადგილი – ლიბიური დინარი

რეიტინგში მეათე ადგილი უკავია ლიბიურ დინარს. ერთი დინარი არა 100 არამედ 1000 დირხამისგან შედგება.

მსოფლიო ვალუტების კურსი ყოველწლიურად იცვლება, მაგრამ ამ სიის სამი ლიდერი წლების განმავლობაში ინარჩუნებს პოზიციებს. რა თქმა უნდა, ბანკნოტებს ძვირფასი ლითონისგან არ ამზადებენ, თუმცა ზოგიერთი ეკზემპლარი ნუმიზმატებს შორის ძალიან ძვირად ფასობს.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

**იყიდება**

**თხის ყველი, თხის რძე.**

**აგრეთვე სხვა ნატურალური პროდუქტები.**

**ტელ: 574 74 75 07 გიორგი**

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), მთვარისა კევლიშვილი (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99